


საერთო გაფატი

№33 (491) • 12 სექტემბერი, 2018წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ღასი 1 ლარი

ქალბატონი, რომლის თავბადასავალი მისი სამუოზლოს თავბადასავალს ჰბავს




რა ხღაბა იმ ქვეყანაში, სადას ნიკო ნიკოლაძის და ივანე ზურაბიშვილის შთამოგავალს იმ ბნელი ძალეზის ნაშთიარები უპირისპირღებინან, რომღებმას ასი წღის წინათ საქარღვეღლოს დამოუქიღღებღობას სისხღინანი წარღვიღი დაუსღვას



ღმერთმა ნუ ქნას და ამ საბრეზიღენ-ღო არჩეღვნეზში ვაშაღქემ რომ გაიღმარ-ღვღოს, ახალი ღროის ორღონიკიღვეები კვღავ აფრენენ რუსეღთში სასიხარუღლო ღეღქემას — მოსკოვი, კრემღი — ვაშაღქე პრეზიღენღტი! წყვღიადი გაიფანღტა — საქარღვეღლოში რუსუღლი მზე ამობრ-წყინღა! გიღლოცავღთ!

ღალი მოროზკინა:

ბოღო წუღამღღე იმეღდი მეღონღა, რომ ბიღინა ივანიშვიღი პრეზიღენ-ღობაზე იყრღდა კენჭს...



საღომე ზურაბიშვიღს ნამღვიღად აქვს გამარჯვეზების შანსი, მაგრამ ამისღვის ისეღ ჩვენ, ქარღვეღლი ხაღხი, უნღდა შევიკრი-ბოღთ და ვღქვათ, რომ პრინციპუღლი ამბავიღა და პრეზიღენღტი საღომე უნღდა იყოს და არა ვინმე სხვა

ზაალ კასრელიშვიღი:

რა პრომოქსიღაზე ნამოგომ არიღნეამ შევარღნეამ?



ეკონომიკურად კი გვიჭირს, მაგრამ ამ მღგომარეობაში რაღაცა პატარა პერიოღდი დაგვრჩა გასავღელი, ვფიქრობ, 2019 წღის შუიღდან, შეიღღღება უფრო აღრეც, ნავსი გატყღება...

ნანა ღვღარიანი:

ჩვენ გვინღა რუსეღთში ფუღლიც ვიშოვოღთ, ღვინოც და მწვანიღლიც იქ გავყიღოთ, მიღლიონამღღე ქარღვეღლი რუსეღთში ვაცხოვროთ, თან ღეღდა ვაგინოთ და ოკუპანტი ვუღახოთ. ეს რა პოღლიტიკაა?!



„კღაკატირი“

შეგვეზი ღონაღღ ტრამპის წინაღღღებ ბრკეღღება



ღაინყეზა თუ არა კიბაროღი მსოფღლიოს დასავყროზაღ?

ქალბატონი, რომლის თავადასავალი მისი საგოგნოს თავადასავალს ჰგავს

რა ხდება იმ ქვეყანაში, სადაც ნიკო ნიკოლაძის და ივანე ზურაბიშვილის შთამომავალს იმ ბნელი ქალბატონის ნაშინიკი უპირისპირდება, რომლებმაც ასი წლის წინათ საქართველოს დამოუკიდებლობას სისხლიანი წერტილი დაუსვეს



ასი წელი ცოტა არ არის — მთელი საუკუნეა, მაგრამ 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში შექმნილ მდგომარეობას რომ აკვირდები, შეიძლება დაასკვნა, რომ ასი წელიც არ აღმოჩნდა საკმარისი იმისთვის, რომ საქართველო იმ ბნელი ძალებისგან გათავისუფლებულიყო, რომლებმაც დამოუკიდებელი საქართველო დაიპყრეს. ბევრი მნიშვნელოვანი რამ მოხდა ამ ასი წლის განმავლობაში. გასული საუკუნის 90-იან წლებში საქართველომ ხელახლა მოიპოვა თავისუფლება და დამოუკიდებლობა, მაგრამ გასაკვირის არის, რომ ამ საერთაშორისო იურიდიული სტანდარტებით, სუვერენულ და დამოუკიდებელ ქართულ სახელმწიფოში, ქვეყნის პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ

მხლოდ ჩემი პასუხისმგებლობა არ არის. მე ვარ ვალდებული ჩემი წინაპრების წინაშე, ყველა იმ ადამიანის წინაშე, ვინც 100 წლის წინ საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა, მაგრამ ეს დამოუკიდებლობა ვეღარ აცოცხლა. ძალიან ბევრი ადამიანი იყო ჩემს ოჯახში და არა მხოლოდ ჩემს ოჯახში, ვინც საქართველოს ღირსეული პრეზიდენტი იქნებოდა, მაგრამ ვერც პრეზიდენტი გახდა, ვერც პარლამენტარი, სახელმწიფოს ვერ ემსახურნენ, რისთვისაც ჩემზე მეტად მზად იყვნენ. ამ ადამიანების გამო ვთვლი, რომ ამ მომენტში ასეთ გამოწვევაზე უარის თქმა არ შეიძლება. ესაა ჩემი გადაწყვეტილების მთავარი მიზეზია“, — თქვა სალომე ზურაბიშვილმა ერთ-ერთ ინტერვიუში.

სალომე ზურაბიშვილი — დაამთავრა პარიზის პოლიტიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტი 1972 წელს, 1973 წელს კოლუმბიის (ნიუ-იორკი) უნივერსიტეტი, ხოლო 1981 წელს — პარიზის სახელმწიფო მართვის ეროვნული სკოლა. 1974–1977 წწ. იყო საფრანგეთის საელჩოს მესამე მდივანი რომში; 1977–1980 წწ. — საფრანგეთის მუდმივმოქმედი მისიის მეორე მდივანი გაეროში; 1980–1984 წწ. — საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ანალიზისა და პროგნოზის ცენტრის თანამშრომელი; 1984–1988 წწ. — საფრანგეთის საელჩოს პირველი მდივანი ვაშინგტონში; 1988–1989 წწ. — ვენაში ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის კონფერენციის პირველი მდივანი; 1989–1992 წწ. — საფრანგეთის საელჩოს მეორე მრჩეველი ჩადის რესპუბლიკაში; 1992–1993 წწ. — ევროატლანტიკურ საბჭოში საფრანგეთის მუდმივმოქმედი მისიის პირველი მდივანი (ბრიუსელი); 1993–1996 წწ. — დასავლეთ ევროპის კავშირში საფრანგეთის მუდმივი წარმომადგენლის მოადგილე (ბრიუსელი); 1996–1998 წწ. — საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის კაბინეტის მრჩეველი; 1997–1998 წწ. — საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის ინსპექტორი; 1998–2001 წწ. — საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს სტრატეგიის საკითხთა, უშიშროებისა და განიარაღების სამმართველოს თანამშრომელი; 2001–2003 წწ. — საფრანგეთის ეროვნული თავდაცვის გენერალური სამდივნოს საერთაშორისო და სტრატეგიულ საკითხთა ხელმძღვანელი; 2003–2004 წწ. — საფრანგეთის საგანგებო და



ცხოვრებაში კვლავ განუზომლად ფართოა იმ პოლიტიკური ძალების ნარჩენების სამოქმედო ასპარეზი, რომლებმაც ჯერ საქართველოს დამოუკიდებლობას გამოუტანეს განაჩენი, შემდეგ კი 70 წელი მართავდნენ საბჭოთა საქართველოს. განა პარადოქსი არ არის, დღეს, 2018 წელს, საპრეზიდენტო არჩევნებში ნიკო ნიკოლაძისა და ივანე ზურაბიშვილის შთამომავალს პრეზიდენტობას უღმერთოთა კავშირის თავმჯდომარის შეილიმეილის, მიხეილ სააკაშვილის, ფავორიტი, სსრკ-ის პოლიტიკურ ლაბორატორიაში გამოჩეკილ-გამოჯეკილი, სსრკ-ის უშიშროების სამსახურებთან მრავალწლიანი თანამშრომლობის სტაჟის მქონე გრიგოლ ვაშაძე ეცილებოდეს? „ეს დიდი პასუხისმგებლობა

თუ ქალბატონი სალომე გრძნობს პასუხისმგებლობას თავისი წინაპრებისა და ყველა იმ ადამიანის წინაშე, ვინც 100 წლის წინათ საქართველოს დამოუკიდებლობისთვის იბრძოდა, რატომ ვერ გრძნობს ამ პასუხისმგებლობას დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფო და მისი ცეცხო, როდესაც საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატად ისეთი ბიოგრაფიის ადამიანს არევისტრირებს, როგორც გრიგოლ ვაშაძეა? ადამიანი მის მიერ განვლილი გზით, მისი ბიოგრაფიით ფასდება. ამ ორი ადამიანის, სალომე ზურაბიშვილის და გრიგოლ ვაშაძის ბიოგრაფიების შედარება ნათელს ხდის, როგორ განსხვავებულ იდეებს და იდეალებს ემსახურებოდნენ ეს ადამიანები.



„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალექსანდრის 164;
ტელ.: 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; შპს (სბ) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი ჰრისის ჰრინცივით. შესაძლოა, ავტორის ჰოზიციან არ ეთანხმებოდეს რედაქციის ჰრისს. ინფორმაციის სიზუსტეა პასუხისმგებელი ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი ჰვირის ვალაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
იზაქაშა შპს „სახალ-დასაგანის“ სტაფაში; თბილისი, აგლასის 39 © 2018 წლით აღნიშნული სახალაშო მასალები.



კი უფრო შორს მიდის და ვაშაძის გაპრეზიდენტებას მზის ამოსვლას ადარებს.

რა ჭირს ამ მზეს საქართველოში, სულ ჩრდილოეთიდან რომ ამოდის?

ვაშაძეს რომ თავი დაეანებოთ, დღემდე ისიც კი არ ვიცით ზუსტად, სინამდვილეში ვინ არის თავად მიხეილ სააკაშვილი, 37-იან წლებში უღმერთოთა კავშირის თავმჯდომარის, დიდი მიხეილ სააკაშვილის შვილიშვილი, რუსეთის სპეცსამსახურების მაღალჩინოსნის თემურ ალასანიაის დისშვილი, სიტყვით რუსეთის მტერი, მაგრამ საქმით რუსული ინტერესების გამტარებელი, რომელმაც საქართველოს ტერიტორიების 20% ხონჩით მიართვა რუსეთს, თავისი მმართველობის პერიოდში ხელი შეუწყო რუსული ბიზნესის გაძლიერებას საქართველოში და ა. შ.

დღემდე არც სალომე ზურაბიშვილის მიერ 2008 წლის აგვისტოს ომთან დაკავშირებულ კითხვას გასცემია პასუხი, თუ რა იყო ამ ომის ნამდვილი მიზეზი — პრეკაციის აყვლა და შენს ტერიტორიაზე შენს მოსახლეობაზე მასიური დაბომბვის დაწყება? უგუნურობა, გიჟი პრეზიდენტის ახირება თუ რაღაც უცნაური და გაუგებარი გარიგება ჩვენს საუკუნოვან მტერთან?

გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლებიდან, ანუ იმ პერიოდიდან, როცა საქართველომ სამოცდაათწლიანი ინტერვალის შემდეგ ხელმოკრულ მოიპოვა დამოუკიდებლობა, ხშირად ისმის მოთხოვნა, რომ აუცილებელია ქვეყანამ მიიღოს ლუსტრაციის კანონი, რომელიც საშუალებას მოგვცემდა, თავიდან აგვერიდებინა სახელმწიფო სტრუქტურებში საკვანძო პოსტებზე იმ პირთა საქმიანობა, რომლებიც საბჭოთა კავშირის დროს აქტიურად თანამშრომლობდნენ (ან მუშაობდნენ)

სსრკ-ის უშიშროების სისტემაში, ეწეოდნენ აგენტურულ საქმიანობას, იკავებდნენ მაღალ პარტიულ პოსტებს და ასე შემდეგ.

ამ კანონის მიღება აქამდე ვერ მოხერხდა, რის შედეგადაც დღემდე არ ვიცით, ვინ ვინ არის, ვინ რა საიდუმლო კავშირით არის დაკავშირებული სსრკ-ის სამართალმემკვიდრის — რუსეთის, სპეცსამსახურებთან,



ვინ იყო და ვინ არის ჩაბმული იმ აგენტურულ ქსელში, რომელიც, დარწმუნებული ვართ, ძალზე ფართო და მრავალრიცხოვანია.

მოკლედ რომ მოვჭრათ, ამ მმართველებით სრული განუკითხაობა და სრული წყვედიადა.

სწორედ ამის ბრალია ის, რომ გრიგოლ ვაშაძეს, გენბავთ, მიხეილ სააკაშვილს, „ნაცმოძრაობის“ იდეოლოგიურ შტაბს, „რუსთავი2“-ს, სხვებს და სხვებს, ურცხვად და უტიფრად შეუძლიათ, სალომე ზურაბიშვილს ან ვინმე სხვას, წესიერ და პატრიოტ ქართველს, რუსეთის აგენტის იარაღი მიაწებონ, ეს იმ დროს, როცა მათ მიერ გაკეთებული საქმეების მიხედვით, თამამად შეიძლება დავასკვნათ, რომ სწორედ თვითონ არიან კრემლის ფარული მოკავშირეები და საიდუმლო ემისრები.

განა ტრაგიკომედია არ არის, როცა სალომე ზურაბიშვილს, რომლის აქტიური მონაწილეობით რუსეთის ბაზები საქართველოდან იქნა გაყვანილი, მოღალატეს და რუსეთის აგენტს ეძახდნენ ისინი, ვინც რუსული ჯარები უკან შემოაბრუნა საქართველოში.

ეჭვიმუტანლად, დადასტურებულიად შეიძლება ითქვას, რომ

იმ 46 კანდიდატიდან, რომლებიც საქართველოს პრეზიდენტობაზე აპირებენ კენჭის ყრას, თუ ვინმე შეიძლება რუსეთის ფავორიტად ჩაითვალოს, ეს არის გრიგოლ ვაშაძე, რუსეთის პოლიტიკური სკოლის აღზრდილი, ფაქტობრივად, რუსი პოლიტიკოსი ქართული გვარ-სახელით, რომელსაც „დიდი უბედურება“ რომ არ დატყდომოდა თავს და საბჭოთა კავშირის რომ არ დაშლილიყო, ახლაც მოსკოვში იქნებოდა და არც კი გამოიხედავდა საქართველოსკენ.

აი, ასეთი წარსულის კაცი და მისი გუნდის წევრები დღეს სხვებს ეძახიან რუსეთის აგენტებს და ეს კანონზომიერია — როცა თვითონ ხარ აგენტი, როცა თვითონ ხარ მოღალატე, შენი მოღალატეობა და აგენტობა რომ დამალო, სხვას უნდა დასდო ბრალი აგენტობაში

და ქვეყნის ღალატსა და ორგულობაში უნდა „ამხილო“.

როცა ამხანაგი გრიგოლი კომპარტიამი შესვლაზე „ჩალიჩობდა“ და თავისი გაველიანი სიმამრის დახმარებით რუსული პოლიტიკის ლაბირინთებში გზას იკვლევდა, ქართველი ემიგრანტების ოჯახში დაბადებული სალომე ზურაბიშვილი სამშობლოსკენ ცდილობდა გზის გაჭრას.

მან ეს მხოლოდ 35 წლის ასაკში მოახერხა.

სალომე ზურაბიშვილი:

„საქართველოში ჩამოსვლა ამდენი წელი აკრძალული მქონდა, ჯერ საბჭოთა წყობის, მერე უკვე პირადად ვიზის აკრძალვის გამო. პირველად რომ ჩამოვედი, 35 წლის ვიყავი. გული მწყდება, მამჩემი ისე გარდაიცვალა, რომ ვერ მოესწრო დამოუკიდებელ საქართველოს.

პოლიტიკაში მოსვლა არასდროს მდომებია, სამაგიეროდ, საქართველოს სამსახურში ყოფნის უნარი მომეცა, როგორც მუდმივი სწრაფვა. ახალგაზრდობაში მე და ჩემი მეგობრები დემონსტრაციებს ვაწვებდით საბჭოთა ლიდერების ჩამოსვლის გასაპროტესტებლად, ხან სტატიებს ვწერდით, ხან მმართველებს ქართულ ენაზე, რომელსაც ვაგრცხვებდით ჩვენი მცირე საშუალებებით, გაზეთს ვუშვებდით („ამირანი“ ქართულ ენაზე), მერე დისიდენტური მოძრაობა გაჩნდა, გამსახურდიასა და კოსტავას წერილებს ვთარგმნიდით და ვაგრცხვებდით სხვადასხვა ევროპულ

პირად ცხოვრებაზე უფრო უნდა ფიქრობდეს“.

საქართველოს თავისუფლებისთვის მებრძოლი ქართველების ემიგრაციაში იბულებით წასული შვილებისა და შვილიშვილების დაბრუნებას სამშობლოში სწორედ ის სისტემა უქმნიდა გადაულახავ ბარიერს, რომელსაც ვაშაძეები ყურმოჭრილი მონის ერთგულებით ემსახურებოდნენ.

უსამართლობა, უფრო უსუტად, კადის დაცინვა და ცინიზმი არ არის, დღეს იგივე ვაშაძეები, ზნეპაპი, სააკაშვილები თუ პარტიული ნომინალატურის და საბჭოთა სპაცსამსახურების წარმომადგენელთა ნაშიმრამი ამ სხვისი სიცოცხლის, სხვისი სისხლის და თავბანჯირვის უსად მოკოვებულ დამოუკიდებელ სამართლებელ კვლავ თავზე უპირამბდნენ წამოშვლას?

თუმცა რაღა უპირებდნენ — ისინი არც ჩამოსულან საქართველოს კისრიდან — დამოუკიდებლობის მიღებიდან ერთი წლის თავზე ტყვიით და ცეცხლით მობრუნდნენ უკან, სახელად დემოკრატები დაირქვეს, ორიენტაცია შეიცვალეს — პროდასავლურები გახდნენ, თუმცა მორიელისა არ იყოს, ზნეს და ხასიათს ვერაფერი მოუხერხეს.

ვფიქრობ, სალომე ზურაბიშვილის გაპრეზიდენტება, მისი პრინციპებიდან და პოზიციიდან გამომდინარე, ხელს შეუწყობს იმ უმსგავსობის დამთავრებას, რაზეც ამ წერილში ვილაპარაკეთ.



უწყებებში... ვიღაცებს მიაჩნდათ, რომ ცოტა არანორმალური ვიყავი, იმდენად შეპყრობილი ვიყავი ამ ერთი იდეით. იმ დროს, როდესაც ახალგაზრდა გოგო თავის

დროა, თუნდაც ასი წლის შემდეგ, ისტორიული სამართლიანობა აღდგეს!

მასტანზ ხარჩილაშვა

P.S. მოსკოვი, კრემლი — თბილისის თავზე წითელი დროშა ფრიალებს! — ასეთი ტელეგრამა გაიგზავნა 1921 წელს თბილისიდან მოსკოვში.

დემოტმა ნუ ქნას და ამ საპრეზიდენტო არჩევნებში ვაშაძემ რომ გაიმარჯვოს, ახალი დროის ორჯონიკიძეები კვლავ აფრენენ რუსეთში სასიხარულო დეპეშას — მოსკოვი, კრემლი — ვაშაძე პრეზიდენტი! წყვედიადი გაიფანტა — საქართველოში რუსული მზე ამობრწყინდა! გილოცავთ!

— როგორც ზღაპარში ხდება ხოლმე, ისე მოხდება ეს ამბავიო, — მოსალოდნელი ბედნიერებისგან თვალები უელავს უღმერთოთა კავშირის თავმჯდომარის თავადაც უღმერთო შვილიშვილს.

სულ ტყუილად გაქვთ იმედი, პატივცემულებო, არც ზღაპარში და არც სიზმარში მსგავსი რამ არ მოხდება, რადგან ქართველ ხალხს დიდი ხანია არც თქვენი ზღაპრების სჯერა და არც თქვენი სიზმრებისა.

36.



გელა ჯედელაშვილი

დალაშობის ანაბოზია

ვინ, როგორ და რატომ უღალატა ბიძინა ივანიშვილს?!

(გაბრძენილია. დასაწყისი „ს.ბ“ N28-32)

ვიგინდარა “ნაციონალები” ბიძინა ივანიშვილს ხშირად ადანაშაულებენ, რუსი ოლიგარქია და თანაც პუტინის მონა, პოლიტიკაში მოსვლის დღიდანვე გაიძახის, 2008 წელს ომი საქართველომ დაიწყო. რასაკვირველია, სააკაშვილის ხელის ბიჭებმა ყველაფერი კარგად იციან, მაგრამ თავიანთ მომხრეებს და საზოგადოების გაუთვითცნობიერებელ ნაწილს მაინც აბოლებენ, ანუ კოკას ვურს იქიდან აბამენ, საიდანაც აწვობთ. ივანიშვილის პირველ წერილში, რომელსაც ასე ხშირად ვახსენებ, არის ერთი საინტერესო ფრაგმენტი ამ ომთან დაკავშირებით. გთავაზობთ მცირე ამონარიდს, სადაც მიმართავს ვანო მერაბიშვილს:

– სანამ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ოფიციალურ განცხადებას არ გააკეთებს, რომც გაჩუქოთ ეს ტერიტორია, ხელი არ ახლოთ არაფერს-მეთქი, — გაგაფრთხილეთ.

მაშინ კი შევძელი დროებით შემეჩერებინა ის საბედისწერო გადაწყვეტილება, მაგრამ მოგვიანებით მაინც იგივე სცენარით იმოქმედეთ და რა შედეგიც მივიღეთ 2008 წლის აგვისტოში, სახეზეა”.

რა თქმა უნდა, საქართველოს წინააღმდეგ ომი რუსეთმა დაიწყო ჯერ კიდევ 1801 წელს, შემდეგ 1921 წელს, შემდეგ 1993 წელს... ბოლო-ბოლო, 1991 წლის მიწურულს სამოქალაქო ომი გაგვიჩაღებინეს რუსთაველზე, მაგრამ 2008 წლის აგვისტოში სააკაშვილის ხროვა იყო აფიტირებული — ბოკერეები, მერაბიშვილები, უგულავები

ბევრს არ ახსოვს, რა უბედურება დატრიალდა ჩვენთვის 1990-იან წლებში, როგორ გაიფუჭა ნახევარ მილიონზე მეტი ადამიანი და მერე რა, რა მიიღო ამით გმირმა ერმა? არაფერი, მხოლოდ რაშხან კადიროვის ხელისუფლება, რომელიც ვლადიმერ პუტინს უძერბა ერთ ადგილას დღევამოშვებით. მიხეილ სააკაშვილმა მოინდომა გმირობა, მაგრამ საამისოდ არც ბაზა ჰქონდა, არც შესაძლებლობა და არც ნიჭი. თუმცა, ვიმეორებ, ჰქონდა ავადმყოფური ლტოლვა, სიშლევე, სურვილი, რომ რაღაცნაირად აელაპარაკებინა მსოფლიო პრესა. როგორც ალაპარაკა, ვნახეთ და ისიც ვნახეთ, როგორ გამოიჭანა მისმა უწმინდესობამ ცხინვალის ქუჩებში წამოკრეფილი ქართული ბიჭების უკვე გახრწნილი ცხედრები. ომამდე რამდენიმე

ვნახე, ბატონებო, ვნახე, როგორ გარბოდნენ დიდი სარდლები წითელი ხიდისკენ და კახეთის მმართველებით, რათა ოჯახებთან ერთად თავი სასომხეთისთვის და აზრებთაიჯანისთვის შეეფარებინათ. დიან, ვნახე, როგორ ღეჭავდა ჩემი მთავარსარდალი ჰალსტუხს „ბიბი-სი“-ს პირდაპირ ეთერში ჩართვამდე და შემდეგ როგორ გადახნა ცხვირით გორის ქუჩები. მახსოვს, საქართველოს მწერალთა კავშირის იმჟამინდელი თავმჯდომარე მაცვალა გონაშვილი მიყვებოდა ომის დღეებში, აღარ შემიძლია, მაღალჩინოსნები მირეკავენ და მთხოვენ, შენ სომხეთსა და აზერბაიჯანში გავლენიან მწერლებს იცნობ, გადარეკე, იქნებ ოჯახებით მიგვიღონ და დაგვაბინავონ. კარგად გაიგონეთ? თავშესაფარს ეძებდნენ, ეს ოხრები, ეს მოღალატეები!

აი, ამაზე ამბობს ბიძინა ივანიშვილი, წელიწადნახევრით ადრე ველაპარაკე გიგა ბოკერიას, ლამის ვეხვეწე და ძლივს გადავაფიქრებინე, მაგრამ შემდგომში მაინც წამოაგეს პროვოკაციაზე მთელი ქვეყანაო. 2008 წლის პროვოკაცია, რასაკვირველია, ერთ დღეს არ დაწყებულა, რატომღაც აღარ ახსენებენ 2004 წლის ამბებს, როცა “სარდალ” ირაკლი ოქრუაშვილის მეთაურობით საცდელი შეტევა განახორციელეს.

დღეს ხშირად ამბობენ, სააკაშვილმა კარგად დაიწყო და ცუდად დაამთავრა, დაახლოებით 2006 წლამდე ნორმალური იყო. არ დაიჯეროთ, არც ის და არც მისი გუნდის წევრები ნორმალურები არასოდეს ყოფილან, ისინი ყოველთვის ფიქრობდნენ რაღაც არაორდინალურ ბოროტებაზე, რაც ალაპარაკებდა მსოფლიო მედიას. არ ვიცი, რამდენად მართალია, მე არ მაქვს საუბრის ჩანაწერი, მაგრამ სანდო წყარო მიყვება, როდესაც ამით ზურგი გა-

იმაგრეს, მაშინვე დაიწვეს არაერთ სისულელეზე ფიქრი სერიოზული ტონით. მაგალითად, ყოფილა ასეთი მომენტი: სააკაშვილთან შეიკრიბნენ ირაკლი ოქრუაშვილი, ზურაბ ადგიშვილი, ვანო მერაბიშვილი, დავით კეზერაშვილი და კიდევ რამდენიმე “ბალვანი”. ვანოს უთქვამს, ეს კარგია, ამერიკელები და ევროპელები პატივს რომ გვცემენ, მაგრამ ანგარიშს მაინც არ გვიწვევო. მიშაც დაფიქრებულა, შენ მართალი ხარ, რაღაც ისეთი უნდა გავაკეთოთ, ანგარიშსაწვევ ძალად ჩავეთვალონ და რაღაცები გვკითხონო. ვანოს წამოუყენებია წინადადება, სასტუმრო “აჭარის” ადგილზე ისეთი “ტრიუმფალური თალი” ავაშენოთ, ფრანგებმაც რომ პირი დააღონო. ამ წინადადებაზე კეზერაშვილს გაუცინია (მაინც ეშმაკია), თალი რა ფეხებად გვინდა, მაგის გამო ანგარიშს ვინ გავციწვევსო? ვანო გაჯიქებულა, მაშინ ატომური ბომბი ვიყიდოთ, დღეს ვისაც ბირთვული იარაღი აქვს, მარტო იმათი ეშინიათო. მიშა გაოცებულა, ჭკვიანი რომ იყავი, ვიცოდი, მაგრამ ეგეთი გენიოსი მაინც არ მეგონეო. ოქრუაშვილს უთქვამს, თქვენ ნაღდად შიგ გაქვითო, წამომხტარა და გამოუჯახუნებია კარი. თუ ეს არ გჯერათ, მაშინ საქართველოს უშიშროების ყოფილ მინისტრს, ვალერი ხაბურდანიას ჰკითხეთ, როგორ ჰქონდა “ჩახვეული” ვანო მერაბიშვილს, ნეტა ბათუმი რომ დავებოძოთ, რა მოხდებაო? ეს ის დროა, აჭარას რომ უტყვენ და ასლან აბაშიძის გაგდებას აპირებენ. მაგალითები უამრავია, მაგრამ ყველაზე საშინელი და ქვეყნისთვის დამანგრეველი ის გახლდათ, რომ 2008 წლის აგვისტოს ომამდე სააკაშვილმა კოდორის ხეობას ზემო აფხაზეთი უწოდა, ხოლო სოფელ ქურთაში სამხრეთ ოსეთის ალტერნატიულ პრეზიდენტად დიმიტრი სანაკოევი დანიშნა. ეს ის სანაკოევი გახ-



“გახსოვს, ვანო, სააკაშვილმა დიდი ხვეწნის შემდეგ რომ დამიყოლია, ბოკერიასთან მივსულიყავი, რომ მისთვის გადაემეფიქრებინა ქვეყნისთვის ერთი ძალიან სარისკო და საბედისწერო გადაწყვეტილების მიღება. ეს ხდებოდა 2008 წლის აგვისტომდე წელიწადნახევრით ადრე. მაშინაც იგივე სცენარი განიხილებოდა, რაც თქვენ 2008 წლის აგვისტოში განახორციელეთ. ბოკერია დაჟინებით ითხოვდა ქართული ჯარების შეყვანას სამაჩაბლოში და იმედი ჰქონდა, რომ რუსი სამხედროები გაიწოდნენ და ქართულ ჯარს ცხინვალში უომრად შეუშვებდნენ. მე მაშინ შევძელი, ბოკერია დამერწმუნებინა, რომ არ შეიძლებოდა ამ ნაბიჯის გადადგმა. სააკაშვილთან ერთად შენც ესწრებოდი ამ შეხვედრას და მე მახსოვს შენი აღფრთოვანება, რომელსაც გამოხატავდი ჩემი მისამართით. ორმოც წუთში ბოკერიას დავუმტკიცე, რომ ის, რის გაკეთებასაც გეგმავდა, წმინდა წყლის პროვოკაცია და ავანტიურა იყო. ბოკერიამ უკან დაიხია და დასახულ გეგმაზე უარი თქვა, მაგრამ უცებ სააკაშვილმა თქვა:

– ხომ შეიძლება თვითონ რუსებმა შემოგვთავაზონ ამის გაკეთება, მაშინ რა ვქნათო?

და სხვები რატომღაც დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ტაშ-ფანდურით შევიდოდნენ ცხინვალში და ოკუპანტები ამას გაატარებდნენ, თვალებს დაიბრმავებდნენ. განა საქართველოში იყო ვინმე ნორმალური, ვისაც არ უნდოდა ქვეყნის გამოთლიანება, ტერიტორიების დაბრუნება? არ იყო, მაგრამ ჩვენ კვლავაც უშედეგოდ დავიცავდით სისხლისგან. სხვათა შორის, აგვისტოს დასაწყისში ბევრ “არანაციონალსაც” სჯეროდა, რომ რუსები ცხინვალს დათმობდნენ. საიდან ჰქონდათ ასეთებს ასეთი ინფორმაცია, ვერ გეტყვით. გარკვეულ წრეებში მიმტკიცებდნენ, ეს საკითხი მაღალ დონეზეა გადაწყვეტილი, სააკაშვილმა ჩააწყო, ამერიკელებიც მხარს გვიჭერენ, ესე იგი, მათთანაც შეთანხმებულიაო. მე საპირისპიროს ვამბობდი — თუ ოკუპანტები ამას გაგეიტარებენ, მაშინ რამდენიმე დღეში მთელი ჩრდილოეთი კავკასია აუჯანყდებათ-მეთქი. მხოლოდ დღეს კი არა, მომავალშიც ასე იქნება, რუსეთი, სანამ ამ სახით არსებობს, არ დაუშვებს პრეცედენტს, ვინმემ ტერიტორია ომით გამოგლიჯოს, რადგან ეს ყველა თავისუფლებისმოყვარე ერს წაახალისებს, უპირველესად კი ჩვენებს. ბევრმა არ იცის,

დღით ადრე პირადად ვესაუბრე “ნაციონალებს” ერთ-ერთ ლიდერს, შოთა მალაშხიას, რომელიც მიმტკიცებდა, დღეს საქართველოს ისეთი შეიარაღება აქვს, ისეთი ჯარი ჰყავს, თავისუფლად შეუძლია, კრემლის თავზე ქართული დროშა ააფრიალოსო. ვახ, ბატონო შოთა, მაშაყრებთ-მეთქი? რას ამბობ, როგორ გეკადრება, ამას საკუთარი თვალით ნახავო.



ლაეთ, რომელიც 1990-იანი წლებიდან მოყოლებული ქართველებს ხოცავდა, შემდეგ კი ფულს დახარბდა და ვითომ ჩვენს მხარეს გადმოვიდა. ფაქტობრივად, სააკაშვილის ხროვამ მკვლელი გადმოიბირა და ფული ათეთრებიანა. თუ რა ხდებოდა სოფელ ქურთაში, ანუ სანაკოვეის საპრეზიდენტო რეზიდენციაში 2008 წლის აგვისტოს ომამდე, ამაზე მისი საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ცაბოშვილი პირადად მესაუბრა უკვე ამერიკის შეერთებული შტატებიდან. სამწუხაროდ, ომის შემდეგ ის იძულებული გახდა, უცხო ქვეყანაში გადახვეწილიყო:

“დიახ, არა მარტო მაშინ, როცა ეს აღმინისტრაცია ქურთაში იყო, არამედ 2008 წლის ომის შემდეგაც 19-მილიონიანი ბიუჯეტი ჰქონდა. სად, როგორ და ვინ განკარგავდა ამ თანხებს, არავინ იცის. დასაწყისში საერთოდ შავი ბუღალტერია მოქმედებდა, ჩემოდნებით მოჰქონდათ ფული და ასე ინაწილებდნენ. მე კარგად მასხოვს ჩემი საუბრები უშიშროების მაშინდელ წარმომადგენლებთან, როცა ერთი 50-დოლარიანი სკამში 500 დოლარს იხდიან, სად მიდის ამდენი ფული-მეთქი? სამწუხაროდ, ასეთი შემთხვევები ხშირად იყო, მაგრამ როცა ფულის გათეთრებაზე მიდიოდა მუშაობა, ხმას ვინ ამოიღებდა? მეტსაც გეტყვით, ალბათ გახსოვთ, მაშინ გაკეთდა შემოვლითი გზა ერედვიდან. ძალიან საინტერესოა, რამდენი დაჯდა ეს გზა, რამდენი იხარჯებოდა მის ვითომ შეკეთებაზე? მილიონები. ჯერ შეიქმნა ალტერნატიული არჩევნების პროცედურა. თავიდან მე ვიყავი, დიმიტრი სანაკოვეი და კიდევ რამდენიმე ოსი. იმ ეტაპზე არ ერქვა აღმინისტრაცია, ჩატარდა არჩევნები იმ ადგილებში, სადაც საქართველოს იურიდიული ვრცელდებოდა და პრეზიდენტად აირჩიეს დიმიტრი სანაკოვეი. იმ პერიოდში მე ვიყავი საგარეო საქმეთა მინისტრი, შემდეგ გადაერქვა სახელი და გავხდი ინტეგრაციის მინისტრი. იმ პერიოდში სანაკოვესაც შეეცვალა სტატუსი და გახდა აღმინისტრაციის ხელმძღვანელი. ვის სჭირდებოდა სანაკოვე? ეს ძალიან საინტერესოა... ქართულმა მხარემ ოსური მხრიდან დაიწყო ბნელი წარსულის მქონე ადამიანების გადმობირება, მოსყიდვა. ასეთების გადმოსვლა დიდი ვერაფერი შედეგით იყო და ეჭვები გამიჩნდა 2007 წლის დასაწყისში, თუნდაც იგივე ფინანსური მომენტების შესახებ, საკადრო პოლიტიკის შესახებ. ე.წ. მთავრობაში, რომელიც სოფელ ქურთაში განთავსდა, ისეთი გაბერილი შტატები იყო, ლამის გული მისკდებოდა — ყველაფრის სამინისტრო შექმნეს და დაახლოებით 500 ადამიანი შეყარეს. წარმომადგენელი, მე ვიყავი მინისტრი და ამ დროს არავინ არაფერს მავალბებდა, არავინ არაფერს მთხოვდა და არავინ არაფერს მაკეთებინებდა. უბრალოდ მოდიოდა ფული და არ მინდოდა ასეთი ფულის აღება. მე მაინც არ ვეპუებოდი, ჩემებურად ვცდილობდი, შემოქმედება, მაგრამ ყველანაირად მიმილიდნენ ხელს... პირველ რიგში სანაკოვეები, რომლებიც პიროვნულად ვერ მიიტანდნენ.

(გაგრძელება იქნება)

აი, მეგობრებო, დასრულდა ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში პრეზიდენტობის კანდიდატა საბუთების მიღება, მთავარსარდლობის სულ 41-მა მსურველმა მოიყარა თავი. სიმბოლურია, არა? „ქართული ოცნების“ პირობებში 41-მდე ავედით და ამ ეტაპზე გაეჩერდით. წინა საპრეზიდენტო არჩევნების დროს 21 იყო, ახლა ეს მაჩვენებელი გავაორმაგეთ. მართალია, ამ ჯერზე რაოდენობამ საზოგადოებაში დიდი ვნებათაღელვა და გაღიზიანება გამოიწვია, მაგრამ ჩვენი რა მიდის? ერთი ეგ არი, ბევრი და უხარისხო ხალხი ცოტა ძნელი საყურებელია. რასაკვირველია, 41-ვე კანდიდატს ვერ გავწვდებით, ყველას ჩვენებურად ვერ გაგაცნობთ, მაგრამ ვეცდებით, ე.წ. ცნობადი სახეების პოლიტიკური პორტრეტი დაგიხატოთ, ანუ გაჩვენოთ ის, რასაც ვერ ამჩნევთ ან არ ჩანს. მაგალითად, დავიწყოთ დავით ბაქრაძით, რომელიც „ნაციონალების“ ზეობის ხანაშიც კი ინარჩუნებდა კაი ბიჭის



სტატუსს. არ ვხუმრობ, ბაქრაძე ერთადერთი იყო იმ დაუნდობელ ბრბოში, ვისთან დალაპარაკება, ასე თუ ისე, შეიძლებოდა. მე პირადად, როცა პარლამენტის თავმჯდომარე გახლდათ, ხშირად მქონდა ხოლმე სატელეფონო მიმოწერა და ნებისმიერ საკითხზე ყოველთვის იძლეოდა პასუხს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ბატონი დავითი ნამდვილად არ არის გარეული სააკაშვილის ბინძურ საქმეებში, მკვლევარებში, გაუპატიურებებსა და ბიზნესების „ახვევებში“. შემდგომშიც, იცოდა რა ბიძინა ივანიშვილმა მისი „უმანკობის“ შესახებ, არაერთხელ შესთავაზა, შეეშვი მისას, თავი დაანებო, არ აპყვევ, თორემ გაგაგაფიქსო. ბაქრაძე თავს იკავებდა კაი ხანს, მაშინ-მარჩენალს როგორ ვუღალატო? ბოლოს მაინც „უღალატა“, ჩაჯდა ეგა ბოკერიას ნაგში, აქეთ უგულავა მოისვა, იქით კიდევ ძველი „პადლენიკები“ და გაცურა სხვა მიმართულებით, დღეს ამ ნავს „ვეროპული საქართველო“ აწერია.

ახლა მკითხავთ, ნუთუ დავით ბაქრაძეს ცოდვები არ აქვს? წლებების განმავლობაში მიხედავს სააკაშვილის „პადლენიკი“ იყო და ნუთუ არაფერი დაუშავებიაო? უი, ეგ არც იფიქროთ, ცოდვები აქვს იმდენი, ვერ დაითვლით. პირველი — მას ძალიან კარგად ეხერხება თვალის დახუჭვა, სიტუაციიდან განხე გავდგომა და სიცილი მაშინაც კი, როცა იცის, რომ ქვეყანაში ტრაგედია ტრიალებს. რაც მართალია, მართალია, იუმორის გრძობა არ და-

ლატობს მაშინაც კი, როცა ტირის. გაიხსენეთ, როგორ ბლუოდ 2008 წლის აგვისტოს ომის დღეებში და როგორ მოგვიწოდებდა, ჩანგლებით, კოვზებით და ჯავყებით დაეცვათ ჩვენი მამულ-დედულიო. ვერ დაგიძლავთ, ამასაც ნიჭი უნდა, ნიჭი და მოხერხება. შეიძლება არ გახსოვთ, იმ დღეებში, როცა რუსი თბილისისკენ მოიწვევდა, ბატონმა დავითმა გურამ პეტრიაშვილის რეკორდი დაამხო. ბატონი გურამი გახლავთ საბავშვო მწერალი და მსახიობი, ზვიად გამსახურდიას თანამემბროლო. აი, სწორედ ის აკეთებდა ანალოგიურ განცხადებებს, როცა ნადირებმა ეროვნულ ხელისუფლებას შეუტყეს და დასამხობად გაწირეს — გამოდით,



„პლაკატი“

ყველაზე მთავარი დანაშაული, რაც დავით ბაქრაძემ ჩაიდინა, ეს გახლავთ საქართველოს კონსტიტუციის გაუპატიურება და სააკაშვილის საგარეო კისურზე მორგება. ალბათ, გახსოვთ, სააკაშვილს გადაწყვეტილი ჰქონდა, ამ ქვეყანაში რუსული „ბონტი“ გაეთამაშებინა — როცა პრეზიდენტობის ვადა ამოეწურებოდა, პრემიერ-მინისტრის საგარემოში ჩაბრძანდებოდა, შემდეგ კი დრო გვიჩვენებდა. ამიტომ, ბაქრაძეს უთხრა, ჩამოართვი ყველა უფლება მომავალ პრეზიდენტს, ანუ შენს თავს და გადმოგიცი მე, ანუ მომავალ პრემიერსო. ამანაც აილო, მიჭრა-მოჭრა, მიკუწ-მოკუწა და დაახლოებით მივიღეთ ის, რაც დღეს გვაქვს. ზოგს ჰგონია, დღევანდელი კონსტიტუცია ბიძინა ივანიშვილმა შეურაცხყო... არა, ბატონებო და ქალბატონებო, ეგ მიხს სააკაშვილმა ქნა დავით ბაქრაძის ხელით. აი, ფოტომტკიცებულება, სადაც ვგდავართ მე, პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე, კონსტიტუციონალისტი ავთანდილ დემეტრაშვილი და დავით ბაქრაძე, ეს ის დროა, როცა კონსტიტუციის საბოლოო, გაუპატიურებული ვარიანტი წარმოგვიდგინეს სასტუმრო „ივერია ბლუ“-ში. სოსო იმახდა, მე არა ვარ დამნაშავე, მხოლოდ პოლიტიკურ ნაწილს ვხელმძღვანელობდიო. დავიჯერე. ავთო დემეტრაშვილი თავისებურად „პარავებდა“ სააკაშვილის დავალებას, ხოლო ბაქრაძე ისე უმისამართოდ ილიმოდა და ამბობდა, რომ ყველაფერი იყო რიგზე, დემოკრატია არ ექმნება არანაირი საფრთხეო. ესეც დავიჯერე, მაგრამ სახეზე მაინც მეტყობა წუხილი. მაგარი ის იყო, „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტი რომ მოვარდა კონსტიტუციის ე.წ. პროექტის განხილვის დაწყებამდე და ცინცაძეს უთხრა:

- ბატონო სოსო, მოდით, ჩავწერთ, რა, ჩავწვევით!
- შვილო, ჯერ განხილვა არ ყოფილა, როგორ ჩამწერ? — მხრები აიჩეჩა ცინცაძემ.
- არაუშავს, ბატონო სოსო, ვითომ უკვე დამთავრდა, ჩავწერთ, რაა, ჩავწვევით! — არ მოეშვა „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტი.

გაიყვანა, ჩაწერა, ვითომ უკვე დამთავრდა, გაუშვეს ეთერში

ვითომ დამთავრებულზე. აი, ასეთ დემოკრატიას ამენებდნენ სააკაშვილი და ბაქრაძე საქართველოში — ვითომ დემოკრატია.

ზემოთ აღვნიშნე, ბატონ დავითს იუმორის გრძობა არ დალატობს-მეთქი, მაშინაც კი ხუმრობს, როცა ტირის, მაგრამ ზომიერების გრძობა აქვს მიშვებული ალჩუხე, ვერ აკონტროლებს საერთოდ. ჯერ იყო, ტელეფონით თავისი ოჯახის წევრებს ახარჯინა წელიწადში 10 ათასი ლარი ბიუჯეტისგან, როცა პარლამენტის თავმჯდომარე იყო, ახლა კიდევ პლაკატებს აკერევენებს ყველაგან — ტყეში, ღრეში, ქუჩებში, კედლებზე, სახურავებზე, კლდეებზე და ვინ იცის, სად, რომელ კუთხე-კუნჭულში. სხვათა შორის, სანამ პლაკატების გაკერას დაიწყებდა, მინდოდა შემთავაზებინა, წინა არჩევნების დროს გაკერულები ისევე არი, იყოს, რაღაზე უნდა იწვალა-მეთქი, დამეზარა და ხელი ჩავიქნიე, მე თქვენ გეტყვით, დაგიჯერებენ? ჰოდა, ამას წინებზე ბოლბისკენ გავიარე (სიღნაღის რაიონი), რას ვხედავ, ტყეში ყველა ხიდან ბაქრაძე მიყურებს! არა, მესმის, პრეზიდენტო ყველაში უნდა იყოს — ადამიანებისა, ცხოველებისა, ფრინველებისა, ქვეწარმავლებისა, მაგრამ ყველა ხეზე გაკერა რა საჭირო იყო, ერთი-ორზე არ ეყოფოდა? ერთი პლაკატი დაახლოებით ჯდება 50-70 თეთრი, აილე, შე ოჯახამენებულო და რაღაც ფორმით ქერივ-ობლებს დაურევი! აი, ამის მერე მელაპარაკება ეს ადამიანი, პრეზიდენტი გავხდები თუ არა, პენსია ვერევე 400 ლარი იქნებაო. ვახ, ბატონო დავით, არც გაატარაკოთ, თუ მთავრობამ არ მოუშატა, თქვენ ვინ გეკითხებათ, ეს ხომ საფუძველივე დიდი ტყუილია?!

რა შანსი აქვს დავით ბაქრაძეს, რომ გახდეს საქართველოს პრეზიდენტი? არავითარი! ამ არჩევნებში მიიღებს 2,5 პროცენტს (დაიმახსოვრეთ ჩემი ნათქვამი) იმიტომ, რომ ის უკვე იყო ხელისუფლებაში მერე პირად და ერთი უმსგავსობაც კი არ გაუპროტესტებია. მე თუ მკითხავთ, დავით ბაქრაძის „კლიკა“ უნდა იყოს „პლაკატი“!

გელა ზედელაშვილი

ლალი მოროშკინა:

ბოლო წუთაზე იხილი გეგმა, რომ ბიძინა ივანიშვილი პრეზიდენტობაზე იყრიდა კენჭს, რას ქვეყნის გადაარჩენა იქნებოდა

სალომე ზურაბიშვილს ნამდვილად აქვს გამარჯვების შანსი, მაგრამ ამისთვის ისევ ჩვენ, ქართველი ხალხი, უნდა შევიკრიბოთ და ვთქვათ, რომ პრინციპული აზრითა და პრეზიდენტი სალომე უნდა იყოს და არა ვინმე სხვა



კური ძალის ხელში ჩაგარდეს, რომლისგანაც ივანიშვილმა 2012 წელს იხსნა?

– აუცილებლად, რადგან ერთი და იგივე წრეზე ვტრიალებთ და იგივე უნდა გავიაროთ, რაც ერთხელ უკვე გავიარეთ. მეშინია, ამასობაში ისე არ მოხდეს, რომ ტერიტორიები დაგკარგოთ, რადგან ჩემი ინფორმაციით, საქართველოში ირანის დაზვერვაა შემოსული და დაახლოებით იგივე სქემით მოქმედებს, რაც თავის დროზე თურქებმა გერმანიაში განახორციელეს. ყველამ ვიცით, რომ დღეს გერმანია პრაქტიკულად, გადათურქებულია და საფრანგეთში ფრანგის დანახვას ნატრობენ. ჩვენც უსუსტად ამ მშვიდობიანი ექსპანსიის გზით მივდივართ, ოღონდ ჩვენთან ტერიტორიის ნაწილს თურქეთი წაიღებს და ნაწილს – ირანი. ვხედავთ, რომ აჭარა პრაქტიკულად გამუხუსლანებულია და იქ, სადაც ეკლესია დუმს, მოლას ხმა ისმის. იმასაც ვხედავთ, რომ მერკელის ვიზიტის რეალური მიზანი საქართველოში მიგრანტების შემოდინება გახლდათ. ძალიან ტოლერანტული ადამიანი ვარ, მაგრამ როცა ეს ქართველების არნახული ემიგრაციის ფონზე ხდება, მშვიდად ვერ ვიქნები. მე ხშირად მიწევს რეესტრში მისვლა და ვხედავ, რომ ინდოელი, არაბი, ჩინელი და ყველა იფორმებს ჩვენს მიწებს ქართველების გარდა. ჩვენ ნაბიჯ-ნაბიჯ მივალთ იქამდე, რომ ქრისტიანები და ქართველები უმცირესობაში მოვექცევით. მევე ყველანაირი არჩევნების ბედი თავისთავად გადაწყდება. შეიქმნება უცხოელების პარტია, გააკეთებენ ბინადრობას, გვიჩვენებენ, რომ საქართველოში 5 წელი ცხოვრობენ და მშვენივრად შევლენ პარლამენტში. ასე, რომ სავალალო პროგნოზი მაქვს და კარგს ვერაფერს ვიტყვი. უვიზო რეჟიმმა, რომლისთვისაც ძალიან მძიმე ხარკი გადავიხადეთ, საქართველოდან ქართველები საბოლოოდ გაიყვანა.

10 სექტემბერს პრეზიდენტობის კანდიდატების ცესკოში წარდგენის ვადა დასრულდა. უკვე ცნობილია, რომ 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნები „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატის გარეშე ჩაივლის – საქართველოს პრეზიდენტობის მსურველ 46-მა კანდიდატს შორის მმართველი პარტიის კანდიდატი არ აღმოჩნდა.



ბიძინა ივანიშვილის არჩევნებზე, საპრეზიდენტო არჩევნებში „ქართული ოცნების“ ფავორიტისა და ოპოზიციის შანსებზე და საქართველოში უახლოესი წლების პოლიტიკურ ამინდზე ჟურნალისტი და კონფლიქტოლოგი ლალი მოროშკინა გვესაუბრა:

კანდიდატი გყავდეს, რომელთაგან ზოგიერთს ალბათ საკუთარი ოჯახისთვის ვერ მიუხედავს, ე.ი. რაღაცა მოიშალა და ქვეყანა არასწორი გზით წავიდა.

– „ქართული ოცნებას“ ფეხდაფეხ მიყვებიან ძველი და კარგად ნაცნობი „ნაციონალური მოძრაობა“ და „ევროპული საქართველო“.

– დიახ, მე მქონდა ეჭვი, რომ არსებობდა გეგმა – ყველა მინუს ერთი ანუ სააკაშვილი. საგარეულოდ, „ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლამდე არსებობდა ამერიკელებთან მოლაპარაკება, რომ მოხდებოდა დროებით ჩანაცვლება, თუნდაც ორი საპარლამენტო არჩევნების განმავლობაში, ოღონდ

არ არსებობს ფიგურა, რომელიც ქვეყანას დააღაგებს.

– სალომე ზურაბიშვილის შანსებზე რა აზრის ხართ?

სამწუხაროდ, „ოცნების“ ექვსწლიანი მმართველობის შედეგად მივიღეთ სრული ნიპილიზმი, აბსოლუტური უიმედობა და ჩიხური ვითარება. უსუსტად ვიცი, რომ ამ არჩევნებზე ხალხი საერთოდ არ

მივა ან იმისთვის მივა, რომ ყველა გადახაზოს. ამიტომ ველოდი, რომ ბიძინა ივანიშვილი თავის სიტყვას იტყოდა და რეალურად ძალიან ძლიერი კანდიდატი გვეყოლებოდა, იმიტომ, რომ თავისი კეთილი საქმეებით 46-ვე კანდიდატს გადაწონის. არ ვიცი ასე რატომ არ მოხდა, თუმცა არ გამიკვირდება, რომ ნაწევრია და ეს მისი რეჟანში გახლავთ. რომ მშვენივრად იმის შემდეგ, რაც ივანიშვილმა მშვენივრად გააკეთა, მის ადგილზე გავიდა ალბათ უკან არ გამოიხედავდა, ისე ვაპირებოდა.

უბრალო მაგალითს გეტყვით, შეკვეთილის ზღვის კურორტების განვითარების დიდი გეგმა არსებობს, უზარაზარი ფულია ჩადებული, მაგრამ არ აკეთებენ. წელს შეკვეთილში პატარა მშენებლობა მეც მქონდა და ვხედავდი, რომ უსუსტად იმ არეალში, სადაც შეიძლება ბიძინა ივანიშვილი ვეღარ აკონტროლებს, პრაქტიკულად აღარაფერს აკეთებდნენ. ამ ადამიანმა ბაზა შექმნა, ფული და სული ჩადო და ახლა მაინც-დამაინც წკეპლით უნდა იაროს და ამოწმოს ვინ რას აკეთებს? აი, ამიტომ მგონია პრეზიდენტობაზე ივანიშვილის უარი რეჟანმისტული პოზიცია – არ გინდოდათ? მიღეთ ახლა და თავად მოიგეთ არჩევნებით.

– რიგითმა მოქალაქეებმა რა დააშავეს, ვინც ბიძინა ივანიშვილს მხარი დაუჭირა და ბოლომდე გვერდით ედგა? ხომ შეიძლება, რომ ეს ხალხი იგივე პოლიტი-

რა პროპოზიციას წამოაგოვს ვლადისლავ არძინაძე შევარდნაძე და როგორ დაიწყოს ქართულ აფხაზური კონფლიქტი?

ეკონომიკურად კი გვიჭირს, მაგრამ ამ მდგომარეობაში რაღაცა კატარა პერიოდი დაგვიჩა ბასავლელი, ვფიქრობ, 2019 წლის შუიდან, შეიძლება უფრო ადრეც, ნავსი გატყდება

გვესაუბრება „კავკასიელ ხალხთა კონფედერაციის“ თავმჯდომარე, ანალიტიკოსი რეგიონალური პოლიტიკის და უსაფრთხოების საკითხებში ზაბალ კასრელიშვილი.

ვფიქრობ, საქართველოში ბევრმა არ იცის, მათ შორის აფხაზებმაც, რომ რკინიგზის დაცვასთან დაკავშირებით, ედუარდ შევარდნაძესა და ვლადისლავ არძინაძეს შორის მოხდა შეთანხმება, რომ ქართული შინაგანი ჯარი შესულიყო აფხაზეთის ტერიტორიაზე და დაეცვა რკინიგზა. ეს ჯარი რომ შევიდა აფხაზეთში, არძინაძემ იმის მაგივრად, რომ გამოსულიყო და

უკიდებელი ადმინისტრაციული სუბიექტის არსებობას, რომელიც ცენტრალური ხელისუფლების ნაწილია, ერთი ინფრასტრუქტურა, ჯარი, ფულის ერთეული, მაგრამ ამ სუბიექტის პარლამენტი განსხვავებული პირობებით ირჩევა, ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებს ქვობენ აქვთ. ამგვარი მოწყობა აფხაზეთს საბჭოთა საქართველოს პირობებში ჰქონდა და მერეც უნდოდათ შენარჩუნება. კონფედერაცია ორი დამოუკიდებელი ადმინისტრაციული ერთეულის ნებაყოფლობით გაერთიანებას ნიშნავს, ანუ საქართველო და აფხაზეთი როგორც

გაჩნდა, თუ არა და გაჩნდება აფხაზეთის სალანძღავი პუბლიკაციები, იგივე მოხდება აფხაზურ მედიაში ქართველების მიმართ, რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელების მიზანია, არაფრის დიდებით არ დაელაპარაკონ აფხაზები და ქართველები ერთმანეთს, 25 წლის წინანდელი ზიზღი გააღვივონ ახალ თაობებში.
— ბატონო ზაბალ, როგორ ფიქრობთ, სერგეი შამბა კრემლის ასე ვთქვათ, ვიზიტის გარეშე გააკეთებდა საქართველოსთან დაკავშირებით ასეთ განცხადებებს?
— უკვე გითხარით, რომ შამბა არის ძველი აფხაზური ე.წ.

აფხაზეთში გაუშვეს, „კაგებეს“ პოლიტიკა იყო იქ ანტიქართული განწყობის შექმნა. ამ „ფეხსეშეშეკური“ მთავრობის ხელში ეკონომიკურად გაპარტახდა აფხაზეთი, ჩასახლებული სომხების სასარგებლოდ შეიცვალა აფხაზეთის მოსახლეობის დემოგრაფია. ამ მთავრობის პირობებში არსებობს რეალური საფრთხე, რომ დაუშვან მიწების ფიდუგაციის უფლება, რის წინააღმდეგაც აფხაზური ოპოზიცია ბოლომდე იბრძვის, მაგრამ როგორც ჩანს, რუსეთის მხრიდან დიდი ზეწოლაა. ვფიქრობ, სწორედ ასეთმა მდგომარეობამ გააკეთებინა შამბას ბოლოდროინდელი პოლიტიკური განცხადებები.
პირველად თქვენს გაზეთთან ვამბობ — თუ აფხაზეთი რუსეთს შეუერთდება, მაშინ აფხაზეთმა უნდა, იცოდნენ, რომ მალე ბევრი ქართველია რუსეთის მოქალაქე, რომლებიც თავისუფლად ჩავლენ აფხაზეთში და იცხოვრებენ. თუ რუსეთს უნდა აფხაზეთის მიერთება და აფხაზები ამაზე უარს იტყვიან, რუსები მათ მერე დღევანე აუჯანყებენ სომხებს და ხელოვნურად წარმოშობილი კონფლიქტის გამო სამხედრო გავლენას შეინარჩუნებენ, „შვიდობისმყოფეობა“ მოგვევლინებინ. ჩვენ გული გვტკივა ჯერ იმაზე, ძმებს შორის სისხლი რომ დაიღვარა და მერე ამ ძმას კიდევ ცხვირწინ გვიჩაგრავენ. გვინდა, აფხაზები ვერ ხვდებიან, რუსეთთან მიერთების შემთხვევაში პერსპექტივა რომ არ აქვთ. ამიტომ აფხაზებმა თვითონ უნდა გააკეთონ არჩევანი.
როდესაც სომხებისა და აფხაზების დაპირისპირებაზე ვსაუბრობთ, აუცილებლად უნდა ვახსენოთ ახალი, ნიკოლ ფაშინიანის დროის სომხეთი. დღეს სომხეთში სახალხო რევოლუციის ხარჯზე ხელისუფლებაში მოვიდნენ პროდასავლური ორიენტაციის სომხები, რომლებიც საქართველოს მიმართ ყოველთვის კარგი დამოკიდებულებით გამოიჩნეოდნენ. ფაშინიანის მთავრობას დღეს



არ აქვს იმის საშუალება, რუსეთისგან ან უფრო მეტი დამოუკიდებლობა, ან სომხეთის ტერიტორიიდან ჯარების გაყვანა მოითხოვოს, მაგრამ მთელი მსოფლიოს მასშტაბით, ვინც ნორმალურად მოაზროვნე სომეხია, ძალიან კარგად უნდა იცოდნენ, რომ სომხეთის, როგორც სახელმწიფოს ცივილიზებული და დასავლური მომავალი მხოლოდ კავკასიელებთან, მის მეზობელ ქვეყნებთან კარგი ურთიერთობით ექნება. სომხების სომხეთისკენ აქტიური მოძრაობა ახსენეთ, ეს ბუნებრივიცაარუსეთში ძალიან დიდი კრიზისია, არსებულ სანქციებს კიდევ დაემატება სხვა სანქციები და ვითარება კიდევ უფრო დაძაბდება, ამიტომ ყველა თავის ფეხებს უბრუნდება. რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე არცერთ სადად მოაზროვნე ადამიანს, განურჩევლად მათი ეთნიკური წარმომავლობისა, არ სჯერათ, რომ დასავლეთთან ასეთი დაპირისპირების შემდეგ, რუსეთი კიდევ ფეხზე დადგება და ეკონომიკურად გაძლიერდება. ასე რომ, წინ ძალიან საინტერესო პროცესები გველის, უკანასკნელი ასი წლის მანძილზე, გლობალური პოლიტიკური პროცესები საქართველოს სასარგებლოდ ახლა რომ ვითარდება, არასდროს ყოფილა. ამას გამოყენება უნდა, ჩვენ ერთიანობა, ეკონომიკური გაძლიერება, ეროვნული განვითარების კონცეფცია გვჭირდება,



საჯაროდ ეთქვა, ცენტრალურ ხელისუფლებასთან შეთანხმებული ვართ, ერთობლივი ძალისხმევით უნდა აღვეკეთოთ კრიზისი, დავიცვათ რკინიგზა და ტვირთების გადაადგილება, განაცხადა ქართველები თავს დაგვესხნენო. შევარდნაძეს მისი მომხრეები დიდ პოლიტიკოსად თვლიდნენ, შეუძლებელია დიდ პოლიტიკოსს ეს საფრთხეები არ გაეთვალა, ყოველ შემთხვევაში, ალბათობა მაინც უნდა დაეშვა, რომ მესამე მხარე პროვოკაციას მოაწყობდა, მაგრამ საეჭვო სცენარს დათანხმდა.

დამოუკიდებელი სახელმწიფოები დადებდნენ ხელშეკრულებას, რომ ერთ ტერიტორიაზე, ერთ სივრცეში უფლებამოსილების გამოჯვრით ექნებოდათ ურთიერთობა, თუმცა ჯარი და ფულის ერთეული კვლავ ერთი იქნებოდა. ეს უფრო ცუდი ვარიანტი იყო, მაგრამ ახლა ესეც სანატრებელი გაგვიხდა.

მე და ჩემი თანამოაზრეები მაშინაც ვამბობდით და დღესაც იმავე აზრზე ვართ, რომ ყველაფერი უნდა გაკეთებულიყო, რომ აფხაზებსა და ქართველებს შორის სისხლი არ დაღვრილიყო, რადგან, როცა კავკასიაში სისხლი იღვრება, ჩნდება ორი მოსისხლე მხარე, რომელთა შერიგებაც ძალიან ძნელია. როგორც ჩანს, ორივე მხარის მაშინდელმა პოლიტიკურმა ხელმძღვანელებმა საკარძობის შენარჩუნების მიზნით, არაფერი იღონეს.

— თქვენი აზრით, რა გახდა მისი თანხმობის მიზეზი?
— შევარდნაძე სამხედრო გადატრიალების შედეგად იყო ხელისუფლებაში მოსული, მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის ისედაც მიუღებელი იყო და თუ კისერზე დააწებებოდა აფხაზეთის პრობლემა, რომელიც 70-იან წლებში ძლივს გადაწვეტიდა, სავარძელს ვედარ შეინარჩუნებდა, ამიტომ შეეცა ამ თამაშში და მისთვის ესოდენ სასურველი სავარძელი შეინარჩუნა. იმ პერიოდშიც და მერეც იყო აფხაზების მხრიდან ფედერაციულ თუ კონფედერაციულ მოწყობაზე მოთხოვნები, მაგრამ ყველაფერი უშედეგოდ დასრულდა. ფედერაციული მოწყობა ნიშნავს საქართველოს ტერიტორიაზე დამო-

დილოგის საუკეთესო პირობა სიმართლეა, სიმართლე უნდა ვუთხრათ აფხაზებსა და მთელ მსოფლიოს და მათგანაც სიმართლე უნდა მოვიხსინოთ.
უკვე გითხარით და გავიმეორებ, რომ დარწმუნებული ვარ, აფხაზების უმრავლესობამ არ იცის, არძინაძესთან რომ იყო შეთანხმებული ქართული შინაგანი ჯარის აფხაზეთში შესვლა, ისინიც მოატყუეს. ქართულ პრესაში უკვე

ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, მაგრამ ის და მისი თაობის ბევრი ავტორიტეტი გვერდზეა გაწეული. რუსეთის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ, ახალი თაობის „ფეხსეშეშეკები“ წამოსწია უკვე წინ, რომლებსაც კონკრეტულ მითითებებს ასრულებინებს. მათი წარმომადგენელია აფხაზეთის ხელისუფლების დღევანდელი პირველი პირი რაულ ხაჯიმბა, რომელიც მინსკის უშიშროების უმაღლესი სკოლის კურსდამთავრებულია. ამ სკოლის დამთავრების შემდეგ იგი საბჭოთა



ბოლო წუთამდე იხალი ამონა, რომ ბიძინა ივანიშვილი პრეზიდენტობაზე იყრიდა კენჭს

6 მმ.

გენოფონდის დაკარგვა კი ტერიტორიების დაკარგვაზე მძიმეა. წლებია ვამბობ, რომ ჩვენი გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო ნარკოტიკის გამტარი ქვეყანა ვართ და არა ქვეყანა, სადაც ქარხნები და ფაბრიკები უნდა აშენდეს და რაც უფრო ადრე დავიჯერებდით ამას, მით უფრო ადრე შევძლებდით სიტუაციის გაკონტროლებას. ახლა სიტუაცია უკვე კონტროლიდან გამოვიდა, იმიტომ, რომ ავღანურმა წამალმა იმატა. ადრე თუ ათასობით ჰექტარზე იყო ლაპარაკი, ახლა ავღანური კანაფი ათათასობით ჰექტარზე მოდის და პირდაპირი ნარკოტრაფიკი ვართ. ცხადია, ჩვენ ამას ვერ შევქვნიანალმდეგებით, მაგრამ ბოლოს და ბოლოს, წამლის გამტარი ქვეყნები ბიუჯეტში საკმაოდ დიდ ფულს იღებენ და მილიონერების ქვეყანა უნდა ვიყოთ, მაგრამ ამის შნოც არ აღმოგვაჩნდა. საბოლოოდ, მივიღეთ დასუსტებული ეკონომიკა, დამუნჯებული პატრიარქი, დაკნინებული სასულიერო პირები, სრულიად დეგრადაციის გზაზე დამდგარი და გამარგინალურებული პოლიტიკური ძალები და ასე მივექანებით კაცმა არ იცის, სად. ახლა ალბათ ყველაზე კარგი გამოსავალი სოფლებში დაბრუნება, მიწაზე შრომა და მოსავლის მიღება იქნებოდა, მაგრამ ადამიანს რომ შია, იმას ურჩევნია სადღაც წავიდეს, მოხუცს პამპერსები გამოეცევალოს და ფული დააგროვოს.

– როგორც პიარტექნოლოგი რას იტყვით საქრეზიდენტო არჩევნებისთვის საქართველოში უცხოელი პიარტექნოლოგების მომრავლებაზე?

– მე გავიცანე კიდევ ოცნების ერთ-ერთი პიარტექნოლოგი, რომელიც ბალტიისპირეთიდან ჩამოვიდა. პირდაპირ ვუთხარი, რომ საქართველოში ამას ქართველები უნდა აკეთებდნენ, იმიტომ, რომ ჩვენ იმ ადამიანების გვჯერა, რომლებმაც ამ ქვეყანაში მიაღწიეს წარმატებას და უცხოელი, რომელიც რაღაცა ფორმულებით გვესაუბრება, ჩვენთვის ნაკლებად დამაჯერებელია. მე სააკაშვილის პიარში ვმუშაობდი და კარგად მახსოვს რამდენად მორგებული იყო მისი მუშაობის სტილი კავკასიურ მენტალიტეტს. ამ ადამიანს მიზნად ჰქონდა ქვეყლი, რომ ყოველდღიურად 400 ადამიანისთვის ჩამოერთვა ხელი. რატომ 400 და იმიტომ, რომ ქართველისთვის ხელის ჩამორთმევა მი-

სიანად ქცევას და მეგობრობას ნიშნავს. 400 კაცი კი მინიმუმ სამი ოჯახია და წლის განმავლობაში ათასობით ადამიანი გამოდისო. სააკაშვილი შეიძლება ცუდი პრეზიდენტი იყო, მაგრამ კარგი პიარტექნოლოგი გახლდათ და ასეთი „ნიუანსები“ ფანტასტიკურად ჰქონდა გათვლილი. არ მესმის, რატომ არ ავიღეთ ის, რისი აღებაც სააკაშვილისგან შეიძლებოდა და რატომ ვენდეთ „ცხვირმოუხოცავ“ ბიჭებს, რომლებიც არსაიდან მოვიდნენ და ოცნების მთავრობაში მილიონერები გახდნენ.

– ამასწინათ ფეისბუქში დაწერეთ, ალბათ ხუმრობით – ისე არ ქნათ, რომ სააკაშვილი ჩამოვიყვანო, ხომ იცით, რომ შემოდიაო. როგორ ფიქრობთ შესაძლებელია მოვლენების ამგვარად განვითარება?

– სააკაშვილი უკვე „ჩამოყვანილია“. ის დიდი ხანია ამ არის და განიხილავს სორაპას მუხის სახმეს, განიხილავს ყველა მინორაპას პრობლემას, მისით იფხვება ყველა მთავარი საინფორმაციო გამოწვევა და მისით მთავრდება. ნახეთ, დღეს ვინ არჩავენს სახმეს, ვინ უბრალებს მუხის ოცნებას ეს ხომ ყველა პრეზიდენტი სააკაშ-

საუბარი პესიმისტურად მოგეჩვენოთ, მაგრამ თვალის დახუჭვა და იმის ძახილი, რომ ყველაფერი კარგად არის, სირაქლემას პოზიცია და დათვური სამსახურია. უპრეცედენტო შემთხვევაა, როცა ამერიკა ამდენი ხანი ელჩს არ აგზავნის. ანუ ამჟამად ჩვენ არც რუსეთის ელჩს გვყავს იმიტომ, რომ დიპლომატიური ურთიერთობა არ გვაქვს და არც ამერიკის. ორი ზესახელმწიფო ჯერ კიდევ ბჭობს და განიხილავს ვინ რამდენ პროცენტს წაიღებს ჩვენგან. არ უნდა დაგვაიწყდეს თურქეთისა და ირანის ინტერესები. თურქეთი რას მოილაპარაკებს რუსეთთან და როგორ მოვეყვებით ამ განაწილებაში არავინ იცის და როგორ შეიძლება ამ დროს არ გვყავდეს ძალიან კვალიფიცირებული წარმომადგენელი, რომელიც მინიმუმ, მაღალ ტრიბუნას გამოიყენებს საკუთარი ქვეყნის ინტერესების გასაზომვანებლად? „ოცნების“ გულუმათაქიმაპარი რომ არ ვიყო, ძალიან ბედნიერი ვიქნებოდი. იმიტომ, რომ დღეს დამარცხების დღეა, მაგრამ ვაუზუმათაქიმაპრობ, რაღვან ჩემი ცხოვრების საუკეთესო ცხრა წელი ბრძოლაში გაატარე. მყვინს, რომ ბიძინა ივანიშვილს, რომელიც



ვილია. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობაში არ არიან, შეძლეს და გუნდურობა შეინარჩუნეს, ე.ი. ტექნოლოგიებმა იმუშავეს კარგად ხომ? ამ დროს სად არის „ოცნება“? ნინო ბურჯანაძე, რომელიც გაწაფულია პოლიტიკურ თამაშებში როგორც ძალიან გამოცდილი პოლიტიკოსი არ შევიდა ამ ბრძოლაში. სალომე მასავეთი გამოცდილი პოლიტიკოსი არაა და ჩემს თვალში ბრძოლის ველზე უიარაღოდ დატოვებულ ადამიანს ჰგავს. შეიძლება ჩემი

ჩემი ოჯახის ასევე ძალიან ბევრი ოჯახის ბადაპრეზიდენტი, იმ პოზიციანა ვერ ვიხილავ, სადაც ვინაშრეზიდენტი. აღმოჩნდა, რომ ქართველებს მოკლე მუხსიერება გვაქვს და წარსული მალე გვაიწყდება. ახლანდელი სერგო თეთრადის საქმეზე ახალი დეტალები გამოქვეყნდა, სადაც პირდაპირ წერია ადამიანი როგორ მოკლეს და დღეს რომ ნაციონალური მოძრაობა კიდევ არსებობს და დაუსჯელია, ჩვენს უზარმაზარ პრობლემად იქცა. აი, იმიტომ ვერ მივდივართ წინ და როდესაც ქვეყანა წინ არ მიდის, ჭაობს ემსგავსება. ჩვენ ჭაობად ვიქცით და დღეს ზუსტად ამ ჭაობიდან ამოსული რეპტილიები გამოვიდნენ სარბიელზე. ამ სიტუაციაში ერთადერთი პოზიტივია, რომ სიტუაცია იმდენად გაფუჭდება, რომ ახალი საპარლამენტო არჩევნების აუცილებლობა დადგება და ეს არჩევნები ქვეყნის გადარჩენის შანსი იქნება.

ნელი თორდია
571 35 36 88



რა პროპოზიციას წამოაგო ვლადისლავ არჩინბაშვილმა შევარდნაზე?

7 მმ.

რასაც ქართული სახელმწიფოს მშენებლობა ჰქვია.

– რუსი ჟურნალისტების საქართველოში ჩამოსვლას რა აფორტაჟი მოყვა ერთი მუჭა ვითომდა დემოკრატიზაციის მხრიდან, ეს მისაღებად მიგაჩნიათ?

– ჩვენი აზრით, ძალიან წამგებიანი იყო რუსი ჟურნალისტების მაგ თემებით საქართველოში გამოშვება, რა თემებითაც ისინი ჩამოვიდნენ. მათ რუსულ-ქართული კონფლიქტის და ოკუპაციის გარდა ყველაფერზე ილაპარაკე, რუსეთის საგარეო პრიორიტეტებს აცნობდნენ საქართველოს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს იყო ჩვეულებრივი დაზვერვითი სამუშაო, ხალხის განწყობის გაგება უნდოდათ, ეს იყო კიდევ ერთი მცდელობა, როგორმე საქართველოს გულში შემოვიდნენ და აქედან გამალონ ასე ვთქვათ, საინფორმაციო ომი, თანამონაწილეები გაგვხადონ საერთაშორისო ასპარეზზე რუსეთის ბრძოლისა, თანამონაწილეები და თანამებრძოლები რუსეთის საგარეო პოლიტიკური კურსის მიმართულებით, რასაც რუსეთის წინააღმდეგ სანქციები მოყვა. მთელმა მსოფლიომ და მათ შორის რუსეთის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამაც უნდა იცოდეს, რომ საქართველოში ხალხს ძალიან არ უნერგავენ ანტირუსულ განწყობას. ჩამოვიდნენ და ნახონ, რომ აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის დაკარგვას არაფერი შეეგუება.

ერთხელ და სამუდამოდ გავაცნობიეროთ, რომ რუსეთს არ უნდა ჩვენთან ურთიერთობა, აფხაზეთიც და სამაჩაბლოც ჯოკერებით უჭირავს ხელში და ვაჭრობს. ერთს გეტყვით, დასავლეთმა სააკაშვილის ხელით „შეტენა“ რუსეთს ეგ თემა, ახლა საქართველოში აღარ არის პრობლემური

ტერიტორიები, ოკუპირებული ტერიტორიებია. საერთაშორისო ორგანიზაციებში პრობლემური ტერიტორიებით არ მიგიღებდნენ, ოკუპირებული ტერიტორიებით კი მიგიღებენ, როგორც ორად გაყოფილი გერმანია მიიღეს. რუსები ამას ვერ მიხვდნენ თავის დროზე და ანექსზე წამოვიდნენ. გერმანიის კანცლერის ვიზიტით ძალიან დადებითად შეიძლება შეფასდეს, რამდენადაც ჩვენი ევროპელი კოლეგებისგან ვიცით, მერკელი „ჩრდილოეთის ნაკადი-2“-ის ალტერნატივას ეძებს, საქართველო ენერგომატარებლების ალტერნატიულ გზად განიხილება. ეკონომიკურად კი გვიჭირს, მაგრამ ამ მდგომარეობაში რაღაცა პატარა პერიოდი დაგვრჩა გასავლელი, ვფიქრობ, 2019 წლის შუიდან, შეიძლება უფრო ადრეც, ნავსი გატყდება. ამას მხოლოდ პროგნოზების დონეზე არ ვამბობთ, ჩვენი კოლეგები და პარტნიორები ევროპიდან და ამერიკიდან გვაწვდიან ინფორმაციებს, რომ დასავლეთში ბალტიისპირეთის ქვეყნები, უკრაინა და საქართველო დასავლური ინვესტიციების დაბანდების კეთილსამედო რეგიონებად გამოცხადდა. რამდენადაც ვიცით, ძალიან სერიოზული ინვესტირები მზად არიან ამ სამი მიმართულებით განახორციელონ ასევე სერიოზული თანხებით ინვესტირება, თანაც არა წამგებიანი პირობებით, არამედ სანახევროდ. ამ მიზნით ჩვენი ხელისუფლება ისეთ ბრენდებთან კონტაქტობს, რომელთაც შეუძლავია რეპუტაცია აქვთ და შემოსვლის შემთხვევაში კაბალური პირობებში არ ჩააყენებენ საქართველოს. ჩვენ არაფერს ვამტკიცებთ, ის ინფორმაცია მოგაწოდეთ, რაც ეტაზე გვაქვს.

მანანა სუნიოვილი
599 51 28 24



ჩვენ გვინდა რუსეთში ფულით ვიყოთ, ღვინო და მწვანე ღვინო იქ გავიღოთ, მილიონობა ქართველი რუსეთში ვასხოვროთ, თან დავა ვაგინოთ და ოჯახები ვუქანოთ. ეს რა პოლიტიკაა?!

გვესაუბრება „გლობალური კვლევების ცენტრის“ ხელმძღვანელი ნანა დემდარიანი:

— ქალბატონო ნანა, საუბარი რუსულ-ქართული ურთიერთობებით დავიწყოთ. ამ მიმართულებით, რუსეთის მხრიდან, გარკვეული სიგნალები არის. ხომ არ დავა დრო ურთიერთობების დასაგეგმავ ვიფიქროთ?

— ყველა ადამიანს ვინც ამბობს, რომ რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობები უნდა აღდგინდეს, რუსეთს უნდა დაუბრუნდეს ტერიტორიები, რომელიც კი არის იმიტომ, რომ რუსეთს სრულიად აკმაყოფილებს ის სტატუს-კვო, რაც საქართველოში აქვს. მან, უგუნური ხელისუფლების დამსახურებით, გაყვანილი ჯარი უკან შემოიყვანა როგორც

ამიტომ, რუსეთი სხვადასხვა ხელმძღვანელის და მადალინოსკის პირით მუდმივად იმეორებს მესიჯს: კი ბატონო, მზად ვართ დიპლომატიისთვის. მათ გარანტია აქვთ, რომ აქედან დიპლომატიის ვერაფერი შევა.

— ნატოსთან დაკავშირებით, საქართველოში ვიზიტისას, მერკელმაც ისაუბრა.

— დიახ, საინტერესოა მერკელმა უნდა გვითხრან, რომ გავივით: ნატოში არავინ გვდებულა. თუკი ვინმე ნატოს წევრი ქვეყნის ხელმძღვანელობაში არის ეს ყველა სათითაოდ აქვს ნათქვამი. როცა ვამბობთ: საფრანგეთის, გერმანიის ხელმძღვანელობა გვეუბნება ნატოში ვერ შევხვალთ, ჩვენ რუსეთს გვეძახიან. გეგონება, მერკელი მე მირეკავს ღმე

შოვით, ღვინოც გავყიდოთ, თან მას დედა ვაგინოთ და ოკუპანტი ვეძახოთ. ეს რა პოლიტიკაა?

— როგორ წარმოგიდგინათ რუსეთთან მტრობიდან პარტნიორობაზე გადასვლა?

— მიუღწეველი არაფერია, ყველაფერს თავის საფასური აქვს. თუ ქვეყნის მთლიანობის აღდგენა გინდა, უნდა დაჯდე და კარგად იანგარიშო ეს რის საფასურად გიღირს. პარტნიორული ურთიერთობა ახსენე, ხომ. ამ იდეის მოწინააღმდეგეები ხშირად ამბობენ, რომ რუსეთი პარტნიორულ ურთიერთობას არასდროს მონდომებს, ყოველთვის ენდობება შენი უფროსი იყოს. ამ ფასად პარტნიორობა არც მე მიღირს. პარტნიორობა ნიშნავს თანაბარს, თანასწორუფლებიანს. როცა ვიღაც უპირატესია, თავზე გადგას, გინდ რუსის ჩექმა ყოფილა კისერზე მობჯინილი და გინდ ნატოს ჯარისკაცი, რა მნიშვნელობა აქვს.

— ბოლო დროს საინტერესო ტენდენცია იკვეთება: პოლიტიკოსები ორად იყოფიან — პრო-დასავლელად და პრო-რუსებად, პრო-ქართული სად არის?

— პრო-ქართულთან დაკავშირებით ძალიან ნიშანდობლივი იყო შემდეგი განაცხადი: ყველა პრო-ქართული, სინამდვილეში, პრო-რუსულიაო. თუ ქართული ინტერესები რუსეთის ინტერესებშია, მაგას რა სჯობს. სიტყვების რაზარ-რუსში, ლოზუნგებში, უაზრო პროგნოზებში ჩანს მთელი მათი სიმარტივე და სიბრყველი. რატომღაც პგონათ, ვიდაცაზე თუ იტყვიან: ეს რუსეთშიაო, ამით განადგურებენ. რაც უნდა იმახონ, შინაარსი არ იცვლება. ცნობილი ქალაქური გამოთქმა: უსაქციელო ქალი სხვას ბოზს ეძახისო. სჯობს, საკუთარ უსაქციელობას მიხედონ.

ერთ შედარებას მოგიყვან: საქართველოში ბოლო წლების მანძილზე, რაც შეერთებულმა შტატებმა გრანტები დახარჯა, დღეს, კრემლმა რომ გამოაცხადოს იმავე რაოდენობის გრანტებს გაძლევათ, ეს ვითომ პრო-დასავლელი ყველას მიასწრებენ იქ მისვლას, ვისაც კი რუსეთს უნდა ეძახი-

ან. ამით ყველაფერია ნათქვამი: მთელი მათი პრო-დასავლურობაც და პრო-რუსულობაც. მე გადავეცი რუსეთს ყველა სტრატეგიული ობიექტი?! 2008 წლის ომი ახალი დამთავრებული იყო, რომ ენგურთან დაკავშირებით საიდუმლო ხელშეკრულება გაფორმდა. წყალზე, ოქროს საბადოებზე და სხვა რესურსებზე, ადრაფერს ვამბობ. ახლა, „რუსთავი-2“-ის მეწილე კობა ნაყოფიას შვილი გახდა. ეს თუ არ არის რუსული ფული, აბა, რა არის?! საბჭოთა პერიოდის მერე რუსული ფული ჩემს ჯიბეში არ ყოფილა. კი ბატონო, აქ შესაძლებელია აკეთო რუსული განცხადებები და რეალურად, სულ სხვა ქვეყნის ინტერესებს მოემსახურო და პირიქით, იძახო ამერიკული ლოზუნგები და რუსეთის ინტერესებს მოემსახურო. ერთ სასაცილო მომენტს გავიხსენებ: სტრატეგიული ობიექტები რომ გაყიდეს ერთი ამბავი აუტყვებთ. მაშინ ბუნდუქიძე გამოვიდა და თქვა: ბუნებაში სტრატეგიული ობიექტი არ არსებობს, ასეთი რამ არ ვიცი, ყველაფერი უნდა გაიყიდოსო. 2008 წელს კი თავად კიოდნენ: დაგვიბრუნდეს სტრატეგიული ობიექტებიო. თუ ბუნებაში არ არსებობს, მაშინ რა უნდა დაგვიბრუნდეს?! ძალიან ნიშანდობლივია ის, რომ ხანდახან, რუსეთთან ურთიერთობის ნორმალისების ლოზუნგით ისეთი მარგინალური პიროვნებები გამოდიან, რომლებიც თავად ამ იდეის მარგინალიზაციას ბრწყინვალედ ახრებენ. ვფიქრობ, არც ეს არის შემთხვევითი.

— შამბას ბოლოდროინდელ განცხადებებსაც მინდა შევეხო თ. მან თქვა, რომ ქართველები აფხაზების მტრები არ არიან და რომ ჩვენ მეზობელი სახელმწიფოები ვართ და ერთმანეთს უნდა დაველაპარაკოთ.

— შამბას განცხადება ქართველმა საზოგადოებამ მთლად



ადეკვატურად ვერ აღიქვა. მის განცხადებაში საკვანძო სიტყვებია — მეზობელი სახელმწიფოები. ანუ, ის ამბობს, რომ ჩვენ ცალკე სახელმწიფო და ქართველების მეზობლები ვართო. მეზობლები რომ ვართ ეს გეოგრაფიის სახელმძღვანელოდანაც ვიცით, მაგრამ ერთი სახელმწიფო ვართ, რასაც შამბა არ აღიარებს. აფხაზეთში ძალიან მწვავედ განიცდიან, რომ რუსეთთან ასეთმა მჭიდრო დაახლოებამ და რუსეთის ფაქტიურმა პროტექტორებმა აფხაზებს სერიოზული პრობლემები შეუქმნეს. მას როგორც ეთნოსს, რეალურად, გადაშენების საფრთხე ემუქრება. შამბა ამას ხედავს, იგი მეცნიერი კაცია, მაგრამ იგი ხაზს უსვამს, რომ ჩვენ მეზობელი სახელმწიფოები ვართ, რასაც ვერცერთი ქართველი ვერ გაიზიარებს. რა ფორმულით, რა სახით უნდა მოხდეს ჩვენი ინტეგრირება ერთიან სახელმწიფოში, ამზე არც არავინ ფიქრობს და არც არავინ ლაპარაკობს. ეს არის პრობლემა.

— ახლახან, საქართველოში რუსეთის მიერ ორგანიზებულ ფორუმს დიდი ხმაური მოხვდა. როგორ აფასებთ ამ ფაქტს?

— ამ ამბავს მწვავედ არ აღვიქვამ და მოგახსენებთ რატომ: რუსებმა უნდა იცოდნენ: აქ რომ ჩამოდიან, ჩვენთვის მნიშვნელოვანია, მათ ალტერნატიული ინფორმაცია მიიღონ, ვიდრე ის, რაც რუსეთში აქვთ. მათ უნდა დაინახონ, რომ საზოგადოებაში მოწინააღმდეგე ჯგუფებიც არსებობენ და მომხრეც. იმ ხალხს რაც შეეხება, რომლებიც აქ კვიციანი-წივილით დახვდნენ, მათ ზრდილობას და კლემამოსილებას ვერ მოთხოვ. როცა რუსები აქ ჩამოდიან უნდა იცოდნენ რა ვითარებაა არის. რაც არ უნდა იმახონ არ ვიცოდითო, ფაქტია, აფხაზეთი და სამხრეთ-ოსეთი მათ სახელმწიფოს აღიარებული აქვს და ეს, რეალურად, ქართული მიწებია, რაც მათ შვენივრად უწყვიან. ვიდაცამეს თუ გააპროტესტა, ამაში გასაკვირი არაფერი არის.

თამარ შველიძე
555 23 28 24



სამხრეთ-ოსეთში, ისე აფხაზეთში. ფაქტობრივად, ამ ორ რეგიონს მთლიანად აკონტროლებს. საბოლოოდ, მათი დამოუკიდებლობა აღიარა და ახლა, სულაც რომ არ დაელაპარაკო, მას ეს სტატუს-კვო ძალიანაც აწყობს. უგუნური პოლიტიკოსები, რომლებიც ამბობენ: რუსეთმა ჯერ ჯარი გაიყვანოს და მერე დაველაპარაკებთო. მამაცხონებულო, თუ ჯარს გაიყვანს, რაღაზე უნდა დაელაპარაკო, მერე უკვე სალაპარაკოც აღარაფერია, ხომ?

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი პოლიტიკოსები, არასამთავრობოები, ექსპერტები გაუთავებლად ყვირიან: ნატოში უნდა შევიდეთ, აუცილებლად მიგვიღებენო, ამის მიღმა არაფერი დგას იმიტომ, რომ ნატოს ხელმძღვანელობაში, ლიდერ სახელმწიფოებში ძალიან კარგად ესმით, რომ ეს რუსეთთან პირდაპირი დაპირისპირების საფრთხის შემცველი იქნება. ამიტომაც, არ დგამენ ისინი ამ ნაბიჯს. ჩვენ მაინც ჯიუტად ვიმეორებთ იმას, რაც საქართველოს ინტერესებს არაფერში ადგება. აი, ეს არის მოცემულობა, რაშიც დღეს ვიმყოფებით. რუსეთის ხელმძღვანელობას ჰყოფნის გონიერება, გამოცდილება, რათა მიხედეს, აქედან დიპლომატიის დამწყები არაინაა, ამის არც უნარ-ჩვევები აქვთ, არც გამოცდილება და არც სურვილი.

და მითანხმებს რა უნდა თქვას. იგი ელემენტარულ რამეს გვეუბნება: სანამ საქართველოს ტერიტორიები ოკუპირებულია, ნატოში ვერ მივიღებთ. თუ ოკუპირებული აღარ იქნება და საქართველო გამოტლიანდება რაღად გვინდა ნატო?!

— მიუხედავად ამისა, ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური კურსი ნატოში გაწევრიანებისკენა მიმართულია.

— ჩვენი კურსი მიმართული არის ხელისუფლების შენარჩუნებისკენ. ხელისუფლებას ყველა დასავლეთის მხარდაჭერის იმედით ინარჩუნებს. აი, ეს არის ჩვენი კურსი. ეს არ არის ქვეყნის კურსი, არამედ კონკრეტული პოლიტიკოსების კურსია, რასაც ქვეყნის ინტერესებთან საერთო არაფერი აქვს.

ის ექსპერტები, რომლებიც თავგადაკლულები გაჰკვივან: თქვენ რუსეთს უნდა ხართ, ჩვენ მედასავლეთეები, ნატოში უნდა შევიდეთო, იცით ვის მაგონებს? — ცუდად გაზრდილ ბავშვს, რომელიც სუპერმარკეტში იატაკზე გაწევა, ხელ-ფეხს იქნევს, ისტერიკას მართავს მივიღე, მივიღეო. აი ვის გვანან ეს უმწიფარი ადამიანები.

ამ დროს გვაიწვევდა ისიც, რომ მილიონზე მეტი ქართველი რუსეთში ცხოვრობს და აქ ოჯახებს არჩენს. ჩვენ გვინდა რუსეთში ფულიც ვი-



ქლიერი რეპრონობი



თითრიფხარო

თითრიფხაროს მონიშნული ტიპი

● მისასვლელი გზები გრძელდებიან საშუალებით მოწესრიგდა თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის შემდეგ სოფლებში: მოხისი, ნავთიანი, ღვევი, შამთა, ვანათი, დრე, ერისი, ასურეთის აგარაკები. შიდა საუბნო გრუნტიანი გზები მოწესრიგდა აგრეთვე დაბა მანგლისში და სოფელ ალგეთში. პარალელურად გასუფთავდა არსებული და მოწესრიგდა ახალი სანიაღვრე არხები. სამუშაოები დაგეგმილია მუნიციპალიტეტის სხვა დასახლებულ პუნქტებშიც.

● სოფელ წინწყაროს წყალმომარაგების გაუმჯობესების მიზნით გაიწმინდა სასმელი წყლის სათავე ნაგებობა, ცენტრალური მაგისტრალზე არსებული უკანონო დაერთებების პრობლემაც აღმოიფხვრა. უახლოეს დღეებში შეიძლება დაზიანებული 400 გრძივი მეტრის მილი, რომლითაც სოფელში არსებული სასმელი წყლის წყარო მარაგდება.

ჩატარებული სამუშაოების შედეგად შემცირდება წყლის დანაკარგები და მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება სოფლის წყალმომარაგება.

ბურჯაანის მონიშნული ტიპი

● მუნიციპალიტეტში ატმის სეზონი წარმატებით დამთავრდა, ახლა ყურძნის მოსავლის დაბინავება-ჩაბარების დრო დადგა. შარშან 130 ათას ტონამდე ყურძენი დაიკრიფა და 15 ათასმა მევენახემ 150 მლნ ლარამდე თანხა მიიღო. წელს რთველი-2018 სოფელ ჭანდრიდან და სოფელ ბაკურციხიდან დაიწყო. ამ ეტაპზე რქაწითელსა და საფერავს სოფელ კარდენახში „შალვინოსა“ და სოფელ ველისციხეში „კახური ტრადიციული მეღვინეობის“ ქარხნები იბარებენ.

რთვლის საკომუნიკაციო შტაბი მოსავლის სრულ დაბინავებამდე 24-საათიან რეჟიმში იმუშავებს.

● მუნიციპალიტეტის მერი არჩილ ხანდამაშვილი მოსახლეობასთან შეხვედრებს აგრძელებს. ამჯერად ის სოფელ ზემო კაჭრეთის მცხოვრებლებს შეხვდა. მოსახლეობამ პრიორიტეტულ საკითხად დაასახელა სატყეო გზის მოწესრიგება, რომელზეც

ხიდა დაზიანებული და აღდგენას საჭიროებს. გურჯაანის მერიაში უკვე შეიკრიბა კომისია, ხელი მოეწერა საჭირო დოკუმენტაციას და რამდენიმე დღეში ხიდის რეაბილიტაციის სამუშაოები დაიწყება. გაისად კი სოფელ ზემო კაჭრეთის სკოლისკენ მიმავალი გზის რეაბილიტაცია იგეგმება.

● მიმდინარე წელს სოფელ ჩალაუბანში რამდენჯერმე შეკეთდა სასმელი წყლის სისტემა ე.წ. ღვინაიანთ და ე.წ. ჭვინაშვილების უბნებში; ღვინაიანთ უბანში ონკანებიც შეიცვალა; გამოიცვალა გარე განათების ნათურები; სოფლის ბოლოში, საგინაშვილების დაბლობში მდებარე ჭაბურღილი გაიწმინდა და ჩაერთო წყალმომარაგების საერთო სისტემაში, რაც მთელ სოფელს სასმელი წყლით უზრუნველყოფს.

დადოფლისწყაროს მონიშნული ტიპი

● „ერთიანი აგროპროექტის“ ფარგლებში, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ გამარჯვებაში ხორცის გადამამუშავებელი ახალი საწარმო გაიხსნა. საწარმო წელიწადში 100 ტონაზე მეტი სხვადასხვა სახეობის ხორცის კონსერვების წარმოებას გეგმავს. პროექტი პირველ ეტაპზე ადგილობრივ ბაზარზე მოხვდება, სამომავლოდ კი ექსპორტზე გაიტანენ. კომპანიაში სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სტანდარტი ISO 22000 დაინერგა. საწარმოში, ჯამურად, 380 660 დოლარის ინვესტიცია განხორ-

ციელდა, აქედან 190 300 დოლარი – შეღავათიანი აგროკრედიტი, ხოლო 152 300 დოლარი სახელმწიფოს მიერ გაცემული გრანტია. 2013 წლიდან დღემდე, სახელმწიფოს დახმარებით, „ერთიანი აგროპროექტის“ ფარგლებში, 173 ახალი საწარმო დაფინანსდა, აქედან კახეთის რეგიონში 57 ახალი საწარმო გაიხსნა.

● სოფელ სამთაწყაროში რთვლის მიმდინარეობას გაეცნენ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი, მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონული განვითარების სამსახურის უფროსი სოზარ სუბარი, კახეთის რეგიონის გუბერნატორის პირველი მოადგილე ირაკლი შიოშვილი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი და საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ პაპიაშვილი. ისინი ესტუმრნენ სამთაწყაროელ მევენახეს ნიკოლოზ სარდალაშვილს, რომელსაც ყურძნის რამდენიმე ჯემი ორ ჰექტარზე აქვს გაშენებული.

რთველი 2018-ის საკოორდინაციო შტაბი ოფიციალურად 20 აგვისტოს გაიხსნა. ამ დროისთვის შტაბში 80 კომპანიაა დარეგისტრირებული, რომლებიც ყურძნის გადამამუშავების პროცესში ჩაერთვებიან.

ლაგოდეხის მონიშნული ტიპი

● ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზე ხის კენწეროების ბილიკის მოწყობა იგეგმება. ხის

კენწეროების ბილიკები კომპლექსურად, საპაერო ბილიკს, ხიდებს, საგანმანათლებლო და საინტერაქტიული ინტერაქტიურ პორტალებს მოიცავს. მსგავსი ბილიკები მხოლოდ მსოფლიოს წამყვან ეროვნულ პარკებში გვხვდება. ასეთი ბილიკი ხელს უწყობს ტურისტული ნაკადების ზრდას, შესაბამისად, მუნიციპალიტეტში დამატებითი სამუშაო ადგილები გაჩნდება. წინასწარი გათვლებით, ერთი წლის განმავლობაში აქაურობას 60-100 ათასი ტურისტი ეწვევა.

ხის კენწეროების ბილიკის მოწყობის სოციალურ-ეკონომიკურ დასაბუთებაზე, მის დეტალურ პროექტირებაზე საერთაშორისო ტენდერი „ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის“ (FF) კავკასიის წარმომადგენლობამ „ტრანსსასაზღვრო გაერთიანებული სამადივოს“ (თფშ-III) ფარგლებში გამოაცხადა. დაინტერესებულმა პირებმა სატენდერო წინადადებები მიმდინარე წლის 13 ნოემბრამდე უნდა წარადგინონ.

პროექტი გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების სამინისტროს (BMZ) და გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის (KfW) ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდება.

სიღნაღის მონიშნული ტიპი

● პროგრამა „ნარჩენების მართვის ტექნოლოგია რეგიონებში“ საქართველოს სამ რეგიონში – კახეთში, აჭარასა და შიდა ქართლში მიმდინარეობს. ამ პროგრამის ფარგლებში სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიაში კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის (BENN) მიერ გამართულ შეხვედრაზე საუბარი ძირითადად ნარჩენების მართვის ინტეგრირებული სისტემის განხორციელების გზებს, ნარჩენების უკანონო განთავსების შემთხვევაში ჯარიმებს, ნარჩენების მოსაკრებლის გადახდის მნიშვნელობას და ამ მიმართულებით მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების საკითხებს შეეხო.

პროექტს აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს

ფინანსური მხარდაჭერით კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი ახორციელებს.

● ქალაქ წნორში გაიხსნა ყურძნის გადამამუშავებელი ქარხანა შპს „ნამი“, სადაც ფერმერები მოსავლის ჩაბარებას შეძლებენ. მუნიციპალიტეტის მერი გიორგი გოგილაშვილი და მერის მოადგილე თემურაზ ბალარჯიშვილი ადგილობრივ მევენახეებს შეხვედრენ და ყურძნის ჩაბარების პროცესს ადგილზე გაეცნენ. ამ დროისთვის დაკრეფილია 915 ტონა საფერავი და 1200 ტონა რქაწითელი. წინასწარი მონაცემებით 22000 ტონა მოსავალს ელიან.

მუნიციპალიტეტში ყურძნის ჩაბარება შეუფერხებლად მიმდინარეობს.

ლუხთის მონიშნული ტიპი

● სახელმწიფო რწმუნებულმა-გუბერნატორმა მცხეთა-მთიანეთის მხარეში შალვა კერესელიძემ პირველი სამუშაო შეხვედრა დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიაში მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის წარმომადგენლებთან გამართა. გუბერნატორმა შეკრებილებს გააცნო საკუთარი პრიორიტეტები და სამომავლო გეგმა. შალვა კერესელიძეს სჯერა, რომ ერთობლივი მუშაობა და მსგავსი შეხვედრები ხელს შეუწყობს მოსახლეობის საჭიროებების გამოკვეთას და მათი მოგვარების გზების მოძიებას. დუშეთის მუნიციპალიტეტის მერმა ზურაბ სეხნიაშვილმა კი ისაუბრა მიმდინარე და დაგეგმილ პროექტებზე, რომელთა განხორციელებაც გააუმჯობესებს მუნიციპალიტეტის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას.

● ციხე-სოფელი მუცოს აღდგენის პროექტი გრძელდება – სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორი მცხეთა-მთიანეთის მხარეში შალვა კერესელიძე, დუშეთის, თიანეთისა და ყაზბეგის გაერთიანებული ოლქის დეპუტატი ზაქარია ქუცნაშვილი, დუშეთის მუნიციპალიტეტის მერი ზურაბ სეხნიაშვილი და მერის მოადგილე გიორგი თანიაშვილი იმყოფებოდნენ პირქითა ხევსურეთში, სადაც მათ ციხე-სოფლის – მუცოს სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერეს.

კლდეზე ნაგები კომპლექსი წლების განმავლობაში სავალალო მდგომარეობაში იყო და სასწრაფო შეკვრას საჭიროებდა. რეაბილიტაციის პროცესი 2015 წლიდან დაიწყო და ყოველწლიურად რამდენიმე კომპის აღდგენა ხერხდება. ციხის რეაბილიტაციის დასრულების შემდეგ აქაურობა ტურისტებისთვის მიმზიდველ ადგილად იქცევა.

ამავე დღეს ხელისუფლების წარმომადგენლები შატლში ქართველ მესაზღვრეებს ესტუმრნენ და მათს საყოფაცხოვრებო პირობებს გაეცნენ.



დადოფლისწყარო

ქლიერი საქართველოსთვის



ზუბლიდი

ზუბლიდის მუნიციპალიტეტი

ნიჭიერი ახალგაზრდების ხელშეწყობა ზუბლიდის მერიის ერთ-ერთი პრიორიტეტია. მუნიციპალიტეტის მერის ლაშა გოგიას სტიპენდია 11 წარჩინებულ სტუდენტს დაენიშნა. გადაწყვეტილება ზუბლიდის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, ძველთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის, განსაკუთრებული ნიჭის მქონე ახალგაზრდებისა და ბავშვთა ფინანსური ხელშეწყობის პროგრამის უზრუნველყოფის მიზნით შექმნილმა კომისიამ მიიღო. სხდომას ესწრებოდნენ წარჩინებული სტუდენტებიც, რომლებიც მერის სტიპენდიას – 250 ლარს სასწავლო წლის განმავლობაში მიიღებენ.

კომისიის გადაწყვეტილებით, კავკასიის უნივერსიტეტის ეკონომიკის სკოლის საბაკალავრო პროგრამის მე-3 კურსის წარჩინებულ სტუდენტ დავით ესათიას ოქტომბერში სასწავლო ვიზიტით ბრიუსელსა და ჰააგაში გამგზავრების ხარჯი დაუფინანსდა.

მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის წარმომადგენლები ანაკლიაში მინდია ბოკუჩავას ოჯახში საყოფაცხოვრებო პირობების ადგილზე გასაცნობად იმყოფებოდნენ. მინდია ბოკუჩავა სამ არასრულწლოვან შვილს მართო ზრდის. ბოკუჩავები ანაკლიაში, ყოფილი საბავშვო ბაღის შენობაში გაუსაძლის საყოფაცხოვრებო პირობებში ცხოვრობენ.

მუნიციპალიტეტის მერია ბოკუჩავების ოჯახს საკვები პროდუქტებით დაეხმარება, მობილური ჯგუფი საყოფაცხოვრებო პირობებს მოუწესრიგებს, ბავშვების ჯანმრთელობის მდგომარეობას კი პედატრი გაუწევს მეთვალყურეობას. ამ ეტაპზე ოჯახის წევრებს ტანსაცმელი გადასცეს.

ოჯახი სარგებლობს მიწით, რომელიც მათ კანონიერ საკუთრებაში არ არის. მერია ოჯახს საკუთრების უფლების მოპოვებაშიც დაეხმარება, რაც მინდია ბოკუჩავას საცხოვრებელი სახლების მშენებლობის პროგრამაში მონაწილეობის შესაძლებლობას მისცემს.

ჩხორწყის მუნიციპალიტეტი

17 სექტემბერს ორი ახალი საბავშვო ბაღი ექსპლუატაციაში შევა.

მუნიციპალიტეტის მერი დათო გოგუა საბავშვო ბაღების მენეჯერებს შეხვდა. შეხვედრას ესწრებოდნენ ასევე მერის მოადგილე ვალერი თოდუა და ა(ა)იპ „ჩხორწყის მუნიციპალიტეტის სკოლა-მშენებლის“ დირექტორი ბადრი ქეტიური.

დათო გოგუა დაინტერესდა, რამდენად მზად არიან ბაღებში საადმინისტრაციო პროცესის განახლებისთვის. მერმა ბაღების მენეჯერებისგან მიიღო დეტალური ინფორმაცია სკოლა-მშენებლის დაწესებულებებში არსებულ საჭიროებებზე და ამ დაწესებულებების ინფრასტრუქტურის მოწყობასთან დაკავშირებული საკითხები განიხილა.

17 სექტემბერს სოფელ კირცხისა და ქვედა ჩხორწყის საბავშვო ბაღები ექსპლუატაციაში შევა და აღსაზრდელები ახალ, თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილ დაწესებულებებში გააგრძელებენ სწავლას.

ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერი

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი შვედეთის ქალაქ ოსტამართან ერთად ახორციელებს სოციალურ პროექტს, „სოციალური ინკლუზია – მუნიციპალიტეტის სერვისების განვითარება ხანდაზმულების, შშმ ბავშვებისა და მოზარდებისთვის“. პროექტის

ფარგლებში დაგეგმილია ადგილობრივი კადრების გადამზადება, ტრენინგები და სხვა აქტივობები. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სამუშაო ჯგუფი სასწავლო პროგრამის ფარგლებში ოსტამარში გაემგზავრა, სადაც ესტუმრნენ სხვადასხვა დაწესებულებას, ადგილზე გაეცნენ სოციალური პროგრამების განხორციელების პრინციპებსა და შედეგებს. 26 სექტემბერს ოსტამარის დელეგაცია ფოთს კვლავ ეწვევა პროგრამის მიმდინარეობის შესასწავლად და ახალი მიზნების დასახად. ფოთი და ოსტამარი 11 წლის წინ დაეგობრდა. ამ დროის განმავლობაში არაერთი პროექტი განხორციელდა, რის შედეგადაც ქალაქებს შორის მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობა ჩამოყალიბდა.

ბოლნისის მუნიციპალიტეტი

გერმანიის ეკონომიკურ-მა გაერთიანებამ (DWW) 2018 წლის აგვისტოს ბიზნესბიულეტენში ბოლნისის მუნიციპალიტეტის პოზიცია გამოაქვეყნა. მასში აღნიშნულია, რომ მუნიციპალიტეტი ეძებს ტურიზმისა და გართობის ინდუსტრიით დაინტერესებულ ბიზნესმენებს/ინვესტორებს, რომლებიც ისტორიული უბნის – კატერინენფელდის ტერიტორიაზე საკუთარ ბიზნესს წამოიწყებენ.

ბიზნესბიულეტენში შესულია მოკლე ცნობები მუნიციპალიტეტის შესახებ და აღნიშნულია, რომ

ორსაუკუნოვან ქალაქ ბოლნისში შემორჩენილია გერმანელების მიერ დაარსებული დასახლება კატერინენფელდი, გამორჩეული არქიტექტურით ნაშენი ნაგებობებით. რამდენიმე მათგანს მინიჭებული აქვს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი.

„მუნიციპალიტეტი მზად არის ხელი შეუწყოს ყველა დაინტერესებულ ინვესტორს და ითანამშრომლოს მათთან კერძო-საჯარო პარტნიორობის ფარგლებში (PPP)“, – ნათქვამია გამოქვეყნებულ მასალაში.

ეს ინფორმაცია გერმანიის ეკონომიკურმა გაერთიანებამ ბიზნესით დაინტერესებულ 4500-მდე პირს გაუგზავნა.

განცხადება სტუდენტებისთვის:

მუნიციპალიტეტი 2018–2019 სასწავლო წელსაც აგრძელებს სტუდენტთა ფულად დახმარებას. გთხოვთ, დოკუმენტაცია წარადგინოთ ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის მოქალაქეთა მომსახურების განყოფილებაში. ფულადი დახმარების პროგრამაში, კატეგორიების მიხედვით, სტუდენტი დოკუმენტაციის სრულად წარდგენის შემდეგ ჩაერთვება.

მუნიციპალიტეტის დახმარებას მიიღებენ სახელმწიფო აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლების შემდეგი კატეგორიების სტუდენტები:

1. ობოლი სტუდენტები და სტუდენტები მარჩენალდაკარგული ოჯახებიდან;
2. სტუდენტები იძულებით გადაადგილებული ოჯახებიდან;
3. სტუდენტები სოციალურად დაუცველი (0-იდან 100 000 ქულამდე) ოჯახებიდან;
4. სტუდენტები მრავალშვილიანი ოჯახებიდან (სამი და მეტი შვილი);
5. სტუდენტები ოჯახებიდან, სადაც არის ორი ან მეტი სტუდენტი;
6. წარჩინებული სტუდენტები.

დმანისის მუნიციპალიტეტი

მიმდინარე წელს მუნიციპალიტეტმა გამოაცხადა ტენდერები შემდეგ სამუშაოებზე:

სოფელ ვარდისუბანში კორპუსის სახურავის, ქ. დმანისში 26 მაისის ქუჩის №3-ში მდებარე კორპუსის სახურავისა და ქ. დმანისში ვახტანგ მეფის ქუჩა №3 კორპუსის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა. საგარაუდო ღირებულება – 180 482 ლარი;

სოფ. კამიშლოში მისასვლელი გზისა და შიდა გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა. საგარაუდო ღირებულება – 235 352 ლარი. დაფინანსების წყარო: ადგილობრივი ბიუჯეტი – 5%, სახელმწიფო ბიუჯეტი – 95%

მარნეულის მუნიციპალიტეტი

ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებულმა-გუბერნატორმა შოთა რეხვიაშვილმა მარნეულის მუნიციპალიტეტში მოსახლეობასთან სამდღიანი შეხვედრები დაასრულა.

შარის გუბერნატორი, მოადგილესთან ზაურ დარგალიანს, საკრებულოს თავმჯდომარე ამირან გიორგაძესთან, მერის მოადგილე ლაშა ლოზანაძესთან და თვითმმართველობის სხვა ხელმძღვანელ პირებთან ერთად, ყიზილაჯლოს, ქალაქ მარნეულის, ალგეთისა და კაპანახის ადმინისტრაციული ერთეულების მოსახლეობას შეხვდა. შოთა რეხვიაშვილმა დაათვალიერა როგორც მიმდინარე, ისე დასრულებული ინფრასტრუქტურული პროექტები.

შოთა რეხვიაშვილმა შეკრებილ მოსახლეობას გააცნო თავისი მოსაზრებები და პრიორიტეტული რეგიონის განვითარების შესახებ, ასევე მიაწოდა ინფორმაცია მუნიციპალიტეტში დაგეგმილი და მიმდინარე პროექტების შესახებ.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი

მუნიციპალიტეტის მერი ირაკლი კუჭავა ბუკისციხისა და დაბლაციხის თემში იმყოფებოდა. მერმა პირველ მოადგილესთან, თამაზ ჯინჭარაძესთან და ბუკისციხის თემის მაჟორიტარ დეპუტატ ქეთევან სიხარულიძესთან ერთად დაბლაციხ-ბუკისციხის ადმინისტრაციულ საზღვართან დასრულებული საავტომობილო ხიდი დაათვალიერა. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები დაბლაციხის თემში, მდინარე სუფსაზე კალაპოტის გასწორებაზე და ნაპირსამაგრი სამუშაოების მიმდინარეობასაც გაეცნენ.

გურიის გუბერნატორი ზურაბ ნასარაია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიას ეწვია და ადგილობრივი ხელისუფლების პირველ პირებთან სამუშაო შეხვედრა გამართა. შეკრებილებმა მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტებისა და სოციალური პროგრამების შესახებ იმსჯელეს.



ფოთი

შეტევები ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ დონალდ ტრამპზე არ წყდება. უფრო მეტიც, ახალ ფაზაში გადავიდა. საერთაშორისო მიმომხილველები ამ გარემოებას მოახლოებულ შუალედურ არჩევნებს უკავშირებენ, რომელიც ნოემბერში გაიმართება და საკანონმდებლო ორგანოში სხვადასხვა შტატებიდან აირჩევენ სენატორებს და კონგრესმენებს. გასულ კვირას ცნობილი გახდა, რომ ამერიკელმა ჟურნალისტმა ბობ ვუდბორმა დაწერა წიგნი „შიში – ტრამპი თეთრ სახლში“, რომელიც გაყიდვაში გამოსვლამდე უკვე სკანდალურად მონათლეს. გაზეთ „ნიუ-იორკ თაიმსში“ გამოქვეყნდა ციტატები ახალი წიგნიდან. გავრცელებული ინფორმაციით, დონალდ ტრამპი კატეგორიულად ითხოვდა თავდაცვის მინისტრისგან ჯეიმს მეტისისგან სირიის პრეზიდენტის ბაშარ ასადის ფიზიკურად განადგურებას. წიგნის ავტორი აღნიშნავს, რომ მინისტრმა არ

მათი პროგნოზი, მომავალი გვიწვევს. კვლავ დაძაბულია ვითარება სირიაში და ხმელთაშუა ზღვაში. მართალია, სირიის მთავრობამ და რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ „ისლამური სახელმწიფო“ დამარცხებულად გამოაცხადა, მაგრამ უკანონო შეიარაღებული ფორმირებები კვლავ რჩებიან პროვინცია იდლიბში. სირიის სამთავრობო ჯარებმა რუსეთის სამხედრო ავიაციასთან ერთად განახორციელეს შეტევა პროვინციაში ტერორისტებზე. აშშ-ის პრეზიდენტი წინააღმდეგაა განხორციელებული სამხედრო

ლებმაც რეგიონში გასულ კვირას წვრთნებიც განახორციელეს. რას მოუტანს სამყაროს ორი დიდი ქვეყნის ასეა თუ ფარული დაპირისპირება, მრავლისმნახველი პოლიტოლოგებისთვისაც ძნელი სათქმელია. სწორედ სირიის საკითხი განიხილეს გასულ კვირას ირანის დედაქალაქში რუსეთის, თურქეთისა და მასპინძელი ქვეყნების პრეზიდენტებმა. თეირანში იყო აზრთა სხვადასხვაობა, მაგრამ მონაწილე მხარეებმა სამიტი ნაყოფიერად შეაფასეს. თურქეთის პრეზიდენტი რეჯეფ თაიფ ერდოღანი შიშობს, რომ იდლიბზე განხორციელებუ-



შეზავები დონალდ ტრამპის წინააღმდეგ ბრძოლდება



შეასრულა პრეზიდენტის ბრძანება და ასადი გადარჩა. თუმცა ტრამპი და მეტისი ინფორმაციას სიცრუეს უწოდებენ და უარყოფენ. მეტისისა და ტრამპის ადმინისტრაციის განცხადებით, მსგავსი ბრძანება, თუნდაც სიტყვიერი, პრეზიდენტს არ გაუციაო. შეგახსენებთ, რომ ბობ ვუდბორი ერთ-ერთი იმ ჟურნალისტთაგანია, რომლის პუბლიკაციების შემდეგ პრეზიდენტი რიჩარდ ნიქსონი იძულებული გახდა, გადაემდგარიყო თანამდებობიდან გასული საუკუნის 70-იან წლებში. დონალდ ტრამპისა და მისი ადმინისტრაციის განსაკუთრებული გაღიზიანება იმავე გაზეთში ორი დღის შემდეგ ანონიმი ავტორის წერილმა გამოიწვია. სტატიაში ტრამპი არაადეკვატურ პიროვნებად არის გამოყვანილი, რომელსაც, ყველაფერთან ერთად, ქვეყნის ღალატშიც ედება ბრალი. ცრუ ბრალდებებმა ტრამპის მოთმინების ფიალა აავსო და გაზეთის რედაქციას კატეგორიულად მოსთხოვა, გაასაჯაროონ წერილის ავტორის ვინაობა. „ნიუ-იორკ თაიმსი“, თავისთავად, უარს ამბობს ავტორის დასახელებაზე, რომელსაც მხარს ტრამპის მოწინააღმდეგე პოლიტიკოსები უჭერენ. პრეზიდენტის ადმინისტრაციამ და სახელმწიფო დეპარტამენტმა მკაცრად გააკრიტიკეს გაზეთში გამოქვეყნებული სტატია. მათი თქმით, ცრუ, გამოგონილი ინფორმაციების გავრცელება საფრთხეს უქმნის ქვეყანას. პოლიტოლოგების ნაწილი აღნიშნავს, რომ აშშ სამოქალაქო ომის ზღვარზეა. რამდენად რეალურია

ოპერაციისა, რადგან მშვიდობიან მოსახლეობაში მსხვერპლი იქნება. გავრცელებული ინფორმაციით, მართლაც არის მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობაში, მათ



შორის არიან ბავშვებიც. რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, აშშ-ის ავიაციამ სირიაში განახორციელა შეტევა, რომლის დროსაც გამოიყენეს ფოსფორის შემცველი ბომბები, რისი გამოყენებაც საერთაშორისო კანონით აკრძალულია. ამერიკული მხარე უარყოფს ფოსფორის შემცველი ბომბების გამოყენებას, თუმცა ადასტურებს სირიაზე განხორციელებულ შეტევას. ამასობაში ხმელთაშუა ზღვაში აშშ-ის საზღვაო ფლოტის გემები მზად არიან, დაიწყოთ ფართომასშტაბიანი ბრძოლები სირიის სამთავრობო ჯარების წინააღმდეგ. იქვე არიან ასევე რუსეთის საზღვაო ფლოტის შენაერთებიც, რომ-

ექსპერტთა აზრით, აშშ სამოქალაქო დაპირისპირების ზღვარზეა

ლი ფართომასშტაბიანი შეტევა კვლავ გამოიწვევს მის ქვეყანაში დევნილების მოზღვაებას. დღემდე თურქეთში თითქმის 4 მილიონი სირიელი დევნილია. ერდოღანი ტერორისტებთან ბრძოლის მომხრეა, მაგრამ მხარდამჭერ ქვეყნებს სიფრთხილისკენ მოუწოდებს, რათა ბრძოლის არეალი სხვა ქვეყნებშიც არ გადავიდეს. ირანული პრესა თეირანის სამიტს განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა. რუსეთისა და ირანის პრეზიდენტებმა სირიის საკითხის გარდა, ორივე ქვეყნის სამომავლო ურთიერთობაც განიხილეს. ვლადიმერ პუტინი პასან

რუჰანის შემდეგ ირანის სულიერ ლიდერს აიათოლას პირადად დახურული კარს მიღმა შეეხდა. დაწესებული მკაცრი სანქციებიდან გამომდინარე, ირანელები ახალ ბაზარს ეძებენ. გარდა ამისა, მათი ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი ქვეყნის უსაფრთხოებაც არის. საიდუმლო არავისთვისაა, რომ ისრაელი წლებია, მოკავშირე ქვეყნებს მოუწოდებს, ირანზე განახორციელონ შეიარაღებული შეტევა. ირანთან წამოწყებულმა ომმა, ექსპერტების ვარაუდით, ადვილი შესაძლებელია, მსოფლიოში არჩაბული ქაოსი და მსხვერპლი მოიტანოს. თეირანის სამიტის შემდეგ კონკრეტული ოფიციალური განცხადებები არ გაუკეთებიათ. ითქვა, რომ მიადრეეს შეთანხმებებს სხვადასხვა საკითხებში. რუსეთის ერთ-ერთი საკვანძო საპორტო ქალაქი ვლადივოსტოკი აღმოსავლეთ ქვეყნების ეკონომიკურ ფორუმს მასპინძლობს, სადაც იაპონიის პრემიერ-მინისტრი სინძო აბე იმყოფება... იაპონელებს რუსეთთან ტერიტორიული პრეტენზიები კი აქვთ, მაგრამ უპირატესობას დიპლომატიას ანიჭებენ, რუსეთში გამართულ ნებისმიერ პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ფორუმებში უმაღლეს დონეზე სიაშოვნებით სტუმრობენ და რუ-

სებთან მოლაპარაკებებსაც აწარმოებენ. უკრაინის ხელისუფლება კი აპირებს, აუკრძალოს საკუთარ მოქალაქეებს, მიიღონ ფულადი გზავნილები და პროდუქტები რუსეთიდან, თუნდაც ახლო ნათესაებისგან. აღსანიშნავია, რომ რუსეთიდან უკრაინაში წელიწადში, მინიმუმ, 1,5 მილიარდი დოლარი გაედინება. ვნახოთ, რას მოუტანს უკრაინულ ხალხს მსგავსი აკრძალვები. ევროპარლამენტმა კი შესაძლოა, ხმის უფლება ჩამოართვას უნგრეთს ადამიანის უფლებების დარღვევების გამო. ხელისუფლება სიცრუეს უწოდებს ადამიანთა უფლებების დარღვევას. მიმომხილველების განცხადებით, უნგრეთის დასჯის ნამდვილი მიზეზი მიგრანტების მიმართ მკაცრი პოლიტიკაა. გამორიცხული არაფერია, მით უფრო, როდესაც ჯორჯ სოროსის მიმართ, რომელიც მსოფლიოში ფერადი რევოლუციების მოწყობითა და ფინანსური მაქინაციებით არის ცნობილი, უნგრეთში არაკეთილგანწყობილი დამოკიდებულებაა. უფრო მეტიც, საკუთარ სამშობლოში იგი პერსონა ნონ-გრატად არის გამოცხადებული.

ბიკა ბურღული
551 71 27 07



ლავა ნაცვლიზმი:

როგორ გუშაობს ქართული დემოკრატია?

იმისათვის, რომ ვნახოთ, როგორ მუშაობს ქართული დემოკრატია, ალბათ, ყველაზე თვალსაჩინო იქნება მისი შედარება კლასიკური ლიბერალური დემოკრატიის მოდელთან.

რა თქმა უნდა, ჩვენ ვერ გავეცევით გამარტივებულ სქემატიზაციას, რადგან სხვაგვარად შეუძლებელი იქნება ამ ვრცელი თემის ჩატევა ერთ ვიდეობლოგში. მაშ, ასე.

დასავლური დემოკრატიის მოდელი დგას ხელისუფლების დანაწილებასა და მისი სამი შტოს — აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების ურთიერთკონტროლსა და გაწონასწორებაზე, ხოლო მთელი ამ სისტემის სათავეში დგას კონსტიტუცია, როგორც მოქალაქეთა შეთანხმების, ანუ კონსენსუსის მთავარი დოკუმენტი.

დამყარებული წონასწორობიდან გამოიყვანონ.

ახლა ვნახოთ, როგორ მუშაობს ქართული დემოკრატია.

ფორმალურად, სახეზეა დასავლური მოდელის თითქმის ზუსტი ასლი.

ხელისუფლება დანაწილებულია. სამივე შტო ურთიერთკონტროლისა და წონასწორობის მოდულში იმყოფება. ხალხი ირჩევს და გადაირჩევს ხელისუფლებას. არსებობს კონსტიტუცია, როგორც საერთო კონსენსუსის დოკუმენტი, მაგრამ არ არსებობს, ან სუსტად არსებობს ის, რამაც მთელი ეს მექანიზმი უნდა გამოკვებოს. არ არსებობს დემოკრატიული ტრადიცია, რომლის ერთ-ერთი ძირითადი მდგენელი, ხელისუფლებაზე ქმედითი კონტროლის განხორციელებაა, რაც ტრადიციულ დემოკრატიაში პიგიუნური ჩვეულების დონეზეა



ვისი ხელით შეიძლება იგი იმართოს? — ისევ ხალხის ხელით, უფრო სწორად კი, იმ ადამიანების, ვინც სხვებისგან განსხვავებით, პოლიტიკაში არა შოვნისთვის, არამედ, უკვე ნაშოვნის

იგი ხალხის ვოტუმს, ანუ მისი ნების არისტოტელესეულ ენტელეხიას, რადგან ყველა ჩვენგანზე დისპროპორციულად აღმატებული მისი სოციალური და მატერიალური კაპიტალი, სა-

განცდა დანერგა, მკაფიოდ აღარ ესმის ხალხის ხმის ჟღერადობა. ეს ის ხმაა, 2012 წლის მაისში თავისუფლების მოედანზე რომ გრგვინავდა. ეს ხალხის ძალაუფლების ხმაა — ყოველთვის უშეცდომო, მთლიანი, გაუბზარავი და სამართლიანი, ხოლო დღეს ელიტური პარტიული ყურისთვის იგი დისპროპორციულ ხმაურად აღიქმება.

ბიძინა ივანიშვილი კი ყველაზე სახალხო ფიგურა ვოქს პოპულს აბრუნებს ელიტაში და ამით სრულიად ახალ რეგისტრში აჰყავს ქართველი ხალხის მმართველობა, ან ჩვენი დემოკრატია. მისი მაკონტროლებელი და გამაწონასწორებელი ძალა, დაიცავს ხალხს, როგორც მმართველი კლასის პოტენციური ტირანიის, ასევე სისტემის სხვა აქტორების, მაგალითად, ფინანსური ინსტიტუციების პოტენციური გაკლენისაგან. ამ თვალსაზრისით, ქართული დემოკრატიის მოდელის სათავეში შეგვიძლია, ბიძინა ივანიშვილი, როგორც სისტემის გარანტი წარმოვიდგინოთ. მისი მეშვეობით ისმის ხალხის ხმა, როგორც რეფერენდუმში და ასე გაგრძელდება, ვიდრე ჩვენთანაც არ გამყარდება დემოკრატიული ტრადიცია.

...ეს ადამიანი არის ბიძინა ივანიშვილი, რომელშიც ერთგვარად განსხვავებულია ქართველი ხალხის კონსენსუსი და ამ აზრით მას ხალხის ძალაუფლების გამოხატულების უმაღლესი ფორმის — რეფერენდუმის ძალა ენიჭება. ამიტომაც წარმოადგენს იგი ხალხის ვოტუმს, ანუ მისი ნების არისტოტელესეულ ენტელეხიას, რადგან ყველა ჩვენგანზე დისპროპორციულად აღმატებული მისი სოციალური და მატერიალური კაპიტალი, საერთო-სახალხო მოხმარებისთვის მის მიერვე უანგაროდ არის გახაზირებული.



ხელისუფლების წყარო არის ხალხი.

ხალხი ირჩევს, აკონტროლებს და შეუძლია, გადაირჩიოს ხელისუფლება.

დასავლური დემოკრატიის შეუფერხებელი ფუნქციონირებისა და მისი შეუქცევადობის მთავარი გარანტი დემოკრატიული კულტურა და ტრადიციებია, რაც ასწლეულების ბრძოლის, სისხლისა და ოფლის ღვრის შედეგად ჩამოყალიბდა.

ამ მხრივ განსაკუთრებული ადგილი უკავია ბრიტანულ დემოკრატიაში, რომლის სათავეშიც კონსტიტუციის ნაცვლად დგას სწორედ დემოკრატიული ჩვეულება, რადგან კონსტიტუცია, როგორც ერთი კოდიფიცირებული ტექსტი, უბრალოდ, არ არსებობს. შესაბამისად, ბრიტანულ მოდელში კონტროლისა და გაწონასწორებულობის ფორმალური მექანიზმი თითქოს, შედარებით, სუსტია, მაგრამ ტრადიცია არ უშვებს იმას, რომ აქტორებმა არსებული სისტემა საუკუნეებში

აყვანილი, თუკი დასავლური მოდელი გულისხმობს კულტურას და ჩვეულებას, რის გამოც მას შეუძლია ავტომატური თვითრეგულირება, ქართულ დემოკრატიაში ტრადიციის არარსებობის, ან სუსტად არსებობის გამო მას ესაჭიროება ხელით მართვა — მას სჭირდება დაზღვევა, მაგრამ

დახარჯვისთვის არის მოსული. ეს ადამიანი არის ბიძინა ივანიშვილი, რომელშიც ერთგვარად განსხვავებულია ქართველი ხალხის კონსენსუსი და ამ აზრით მას ხალხის ძალაუფლების გამოხატულების უმაღლესი ფორმის — რეფერენდუმის ძალა ენიჭება. ამიტომაც წარმოადგენს

ერთო-სახალხო მოხმარებისთვის მის მიერვე უანგაროდ არის გახაზირებული.

ქართული დემოკრატიისთვის ბიძინა ივანიშვილის პარტიაში დაბრუნების მნიშვნელობა სწორედ აქ უნდა ვეძებოთ.

პარტიას, რომელშიც რუტინულმა ექვსმა წელმა ელიტიზმის



POSTV



რა მოხდება თუ Gafam [Google, Apple, Facebook, Amazon, Microsoft] გადაწყვეტს სახელმწიფოების წინააღმდეგ კიბერ-ომის დაწყებას?»

ეს კითხვა გაუჩნდათ ფორუმი C-ის პრეზიდენტ Veronique Angere- de Friberg-ს და მწერალ Patrick de Friberg-ს. უმიზეზოდ არაფერს წერენ და ამბობენ. ფორუმზე იხილებოდა ორიათასთნობიერი წიგნი ფილიპ ნიკოლსონის ვითომ «ფანტასტიკური» რომანი. სადაც მოქმედება შემდეგნაირად ვითარდება- ესპანეთში დათმო თავისი ერთ-ერთი რეგიონი რათა იქ შექმნილიყო პირველი კომპანია-სახელმწიფო Evergreen. სადაც ყველაფერი მოსულა, თვალთვალიც, ზურგიდანაც ჩართვამაც, დღეობაც, დაბეჭდვაც.

და ვის მხარეს იქნებით თქვენ როდესაც ეროვნულ სახელმწიფოს განზე გასწევს, ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტის, პარლამენტის და ასე შემდეგ ადგილს დაიკავებს და ხელისუფლებას დაიპყრობს დიდი და სახელმწიფოზე უფრო ძლიერი ფირმა-კომპანიის პატრონი-გენერალური დირექტორი და მის მიერ დანიშნული ადმინისტრაცია? ასეთი რამე მთელ მსოფლიოში ჩვეულებრივ ამბად შეიძლება გადაიქცეს. ცხველავა, პაპა-ნაქებაა, ელექტრობის ნაკლებობაა, გამრავლდა საქმიანი ბიზნეს-ზონები. ამ ბიზნეს-ზონებში უსაფრთხოოდ, კომფორტულად და მდიდრულად ცხოვრობენ დიდი ფირმების, კომპანიების, საზოგადოებათა მოსამსახურეები და თანამშრომლები. მათ გარედან იცავს გალავანი, რომელიც გადის დენი. ამ ზონებში გროვდება ენერჯია და სიმდიდრე. ეს კომპანია-ზონები ძალზე უფრო გამძლეობენ ვიდრე სახელმწიფოები რომელთა ტერიტორიაზეც ისინი არიან. სახელმწიფოებზე უფრო ძლიერი ბიზნეს-ზონა-კომპანიები ოცნებობენ გაეროს მიერ აღიარებულ სახელმწიფოებად გადაქცევაზე და ინტერეგანობაზე. გაიძიებენ ესპანეთი, რომელმაც დათმო თავისი ერთ-ერთი რეგიონი რათა იქ შექმნილიყო პირველი კომპანია-სახელმწიფო Evergreen. მაგრამ მისი გალავნის გარეთ უკმაყოფილებაა, მზადდება ჯანყი და ხდება წინააღმდეგობის ორგანიზება.

ახალგაზრდა მაქსის უნდა წინააღმდეგობაში და ჯანყში მონაწილეობა. ის ძალაუნებრივ ჩაებმება ისეთ რამეებში რაც შესწავის მის ცხოვრებას და შეცვლის მსოფლიოს სახეს. სისტემის გარეთ მყოფი მამამისი ისევ უახლოვდება საქმიანი ბიზნეს-ზონების პოლიტიკურ ინტრიგებსა და მაქინაციებს, მან ისევ უნდა დაისვაროს ხელები რათა გადაარჩინოს თავისი შვილი. მასშტაბური შთქმულებები, გაფლანგვები, შანტაჟის კარგი დონა და, ყველაზე მეტად, ულტრა-რეალისტური ფუტურისტული სამყარო რომელიც გვაფიქრებს ჩვენს მომავალზე. ინტრიგა ისევ ბრუნავს საქმიანი-ბიზნეს-ზონების ირგვლივ. კომპანია-ბიზნეს-ზონები ისევ და ისევ ძლიერდებიან, მათ მოიპოვეს პრი-

დაიწყება თუ არა კიბერ-ომი მსოფლიოს დასაპყრობად?

ვიღვივებული სტატუსი და ეხლა ცდილობენ უმაღლესი ავტონომიის, გაეროს წევრი-სახელმწიფოს სტატუსის მოპოვებას... სადამდე შეიძლება მივიდნენ რათა იყიდონ ადგილი საზოგადოებაში? რათა იმოვონ ხანგრძლივი სამუშაო?

თუ კი ხელმისაწვდომი იქნება უკანასკნელი ტექნოლოგიები ჯანდაცვის და გართობა-დროისტარების სფეროებში სადამდე შეიძლება მივიდეთ? ავტორი სვამს მრავალ კითხვას და გვაფიქრებს ისეთ მნიშვნელოვან თემებზე როგორებიცაა უსაფრთხოება, თავისუფლება, ეკოლოგია, ეკონომიკური და სოციალური უთანაბრობები. იგრძნობა რომ ავტორი კარგად იცნობს თემებს რაზეც ლაპარაკობს. იგი

ლაპარაკობს მოსალოდნელ ეკოლოგიურ უბედურებაზეც, მაგრამ არ ივიწყებს არც თავისი ინტრიგის უფრო პოლიტიკურ მხარეს. არის მათის დირიჟირებული ნაგარდი. ამ ამბებში მოხვედრილი მამაშვილი უბრალოდ ცდილობენ თავის გადაარჩენას.

ფილიპ ნიკოლსონის ეს რომანი არის გამოხმაურება რეალურ ამბაზე. მარცხეული ტექნოლოგიის პროექტზე რომელიც მოიცავს კოლოსალურ ხარჯებს, არა ნაკლებ 200 მილიარდი დოლარისა მთელი ქალაქის ასაგებად/ პროექტი უკვე ცნობილი იყო, მაგრამ მარცხეული პროექტის პროექტი თითქმის დაზუსტდა. Facebook-ის დამფუძნებელს უნდა სოციალური ქსელის შტაბ-ბინის უშუალო სიახლოვეს, მენტო-პარკში, სან-ფრანცისკოს ფურეში «Zee town»-ის აგება. და ეს არ იქნება მართლამდინე გაფანტული სახლი. ლაპარაკობენ ოთხმოც პექტარზე რომელზეც აიგება სუპერმარკეტები, სასტუმროები, ვილები უმაღლესი, სუპ-კადრებისთვის, უფრო კლასიკური ბინები თანამშრომლებისთვის და მოსამსახურეებისთვის და საბინელებლები სტაფორებისთვის და მხანველებიც მივლენ საგანგებოდ გაყვანილ-მოკვლილი გზებით. მათ აქვთ უფასო სასადილო, ბავშვთა ბაგები, ყავთ დალაქები, მათ აძლევენ ველოსიპედებს, მარტო სამუშაო, სხვა არაფერი არ უნდა ადარდებდეს ამ ხალხს. ეხლა ამბობენ რომ თანამშრომელ-მოსამსახურეებს შეიძლება მოუხდეთ სამსახურში მანქანი მიხვლა რაც დააბინძურებს გარემოს და ეწინააღმდეგება ფეისბუქის ეკოლოგიურ ეთიკას, მაგრამ ფეისბუქმა დადო პირობა რომ შექმნის ალტერნატივი ტრანსპორტს. მარცხეული პროექტი უკვე გულუხვად ხარჯავს ფულს...

ამ ვითარებაზე მიგვიყვანა სახელმწიფოთა დაუძლურება-გა-

კორტებამ და ამავე დროს ახალმა ნუმერიკულმა იარაღმა რომელიც იძლევა ახალი ეკონომიკის და ახლებურად ცხოვრების გამოგონების საშუალებას. მაგრამ მსინც რაზე ვლაპარაკობთ? არის ნამდვილი პრობლემები? ვინ არიან მსოფლიოს ახალი ბატონები? ვინ არიან გამარჯვებულები და ვინ არიან დამარცხებულები? და, ყველაზე მეტად, რა გავლენას მოახდენს ეს რევოლუცია ყოველ ჩვენგანზე, ჩვენს პირად და პროფესიულ ცხოვრებაზე?

დღემდე მულტინაციონალები კმაყოფილებდნენ ფისკალური, საგადასახადო ოპტიმიზაციით და იაფი მუშახელის შორს დაქირავებით, მაგრამ ვერც ერთი მულტინა-

ციონალი ვერ იტყოდა უარს თავისი წვლილის შეტანაზე თავისი ქვეყნის სიმდიდრეში. GAFAM-ის ტიპური მოდელი კი უფრო ძალაუფლებითაა დაინტერესებული ვიდრე მოგებით. ამიტომ ექსპერტები დაიბნენ როდესაც ფეისბუქი კარგავდა ფულს, მაშინ როდესაც მისი აქციონერები არ ზრუნავდნენ დაუყოვნებელ რენტაბელობაზე. მულტინაციონალები იცავენ გარკვეულ წესებს, იხდიან გადასახადებს, კისრულობენ გარკვეულ სოციალურ პასუხისმგებლობას, ანგარიშს უწყვენ საზოგადოებრივ ინტერესს.

მაგრამ GAFAM-ის //Google, Apple, Facebook, Amazon & Microsoft// კონცეფცია, მისი მსოფლმხედველობა, მისი წარმოდგენა ხელისუფლების ურთიერთობებზე, მის როლზე მსოფლიო სცენაზე... სულ სხვაა. კოლონიზაციის და განვითარებული ქვეყნების უპირატესობის ნაშთი, ბევრისთვის კაპიტალიზმის და კლასთა ბრძოლის სიმბოლო, სახელმწიფოთა შორის გაშმაგებული კონკურენციის განსახიერება, მულტინაციონალები ინდოელების კომპანიებიდან აზიის კოლონიებამდე Alstom-ის, Danone-ის, EDF-ს, Renault-ს, Sanofi-ს, Total-ის, Veolia-ს, ArcelorMittal-ის თუ Continental-ის გავლით, რომლებიც დღემდე სარგებლობდნენ ეკონომიკური და ფინანსური მონდიალიზაციით ეხლა სუსტდებიან და წინ მოდიან ახალ-მოსულები რომლებიც ავიწროვებენ მათ. ეს ახალმოსულები იგონებენ ახალ წესებს, ახალ ღირებულებებს, აზროვნების ახალ ფორმებს საწარმო. ფირმა, კომპანია საზღვრის გარეშე



ცნობილი იყო საწარმო კომპანიების ლობიზი სახელმწიფოებზე. სახელმწიფოებიც მოუწოდებდნენ პასუხისკენ ამით დამარწმუნებელი ფინანსური ზომების დაძალებით და ზოგს ნაციონალიზაციითაც კი ემუქრებოდნენ... ეროვნული სახელმწიფოდან ფირმა, კომპანია-სახელ-

მწიფომდე. მულტინაციონალებს აქვთ ქვეყანა, ისინი თავისი მოგების ნაწილს აძლევენ სახელმწიფოებს სადაც არის მათი ფილიალები და სამაგიეროდ იღებენ გარკვეულ უპირატესობებს. e-economy-ის ფირმა-კომპანიებს კი არც საზღვრები აქვთ და არც კუთვნილების ქვეყანა და მათ სულ არ აქვთ სახელმწიფოებისთვის ფულის მიცემის სურვილი. e-economy-ს ხელმძღვანელები მულტინაციონალთა ხელმძღვანელების მსგავსად ახდენენ ფისკალურ ოპტიმიზაციას, მაგრამ არა მოგებათა დასაგროვებლად არამედ ამ სიმდიდრის ჩასადებად ნანოტექნოლოგიების, ბიოტექნოლოგიების, ხელოვნური გონიერების, კოგნიტიური მეცნიერ-

ება, რომელიც გავს სახელმწიფოს, სახელმწიფო სახელმწიფოთა გარეთ. ეროვნული სახელმწიფოებისგან განსხვავებული სუვერენული ფირმა-კომპანია-სახელმწიფო ეწეობა თავისი საკუთარი მოდელის ირგვლივ და წვეტს თუ როგორ უნდა ხარჯოს თავისი ბიუჯეტი. არა საზოგადოებრივი კეთილდღეობისთვის არამედ მონოპოლიების უზრუნველსაყოფად ყველაზე მოწინავე და სიმდიდრეთა ყველაზე მეტად შემქმნელ სექტორებში. მარტო Google-ც რომ ვახსენოთ ის არაა მარტო ძიების ძრავა. საზოგადოება 2013- წლიდან ინვესტიციებს დებს რობოტიკაში და ხელოვნურ გონიერებაში, ნეირომეცნიერებებში და ნანოტექნოლოგიებში, ჯანდაც-

ვაში, რენაპუმანიზმში, ენერჯიაში, საზოგადოებრივი აზრის და ტენდენციების კვლევაში, უსაფრთხოებაში, და ასე შემდეგ.

e-economy-ს ამ გიგანტების პირისპირ სახელმწიფოებს აღარ აქვთ წონა და არა კაპიტალიზაციაში ღირებულების გამო არამედ იმ ინფორმაციის გამო რომელიც სამსახურების, სოციალური და ჯანდაცვის, მართლმსაჯულების, უსაფრთხოების, ტრანსპორტის დაფინანსებაში. მათ ურჩენიათ ინვესტირება თავის საკუთარ მოდელში და სიმდიდრეთა თვითონ განაწილება. e-economy-ს ხელმძღვანელები ქმნიან ურთიერთდახმარების, კერძო ჯანდაცვის, ბავშვთა ბაგების სწავლა-განათლების, კიბერშტეფებისგან თუ სხვა შტეფებისგან თავდაცვის, პენსიის, და ა.შ. საკუთარ მოდელში, რითაც იგონებენ მათ საკუთარ ორგანიზაციას და თავისუფლებიან სახელმწიფოების.

მათი ხელმძღვანელების ჩაგონებით მოსამსახურე-თანამშრომლები თვლიან რომ ისინი არიან ერთი და იგივე ღირებულებების, ერთი და იგივე პრაქტიკების, ერთი და იგივე კულტურის ერთი და იგივე ფილოსოფიისა და მსოფლმხედველობის მქონე ჯგუფის წევრები. Google-ს მენეჯმენტი ხიბლავს ახალგაზრდებს სამუშაოს გარეგნულად იდილიური გარემოთი. თავისუფალი სამოსი სიმპატიურ კონტექსტში, სპორტული დარბაზები და მაღალი ტექნოლოგიის დანადგარები, სამაგიეროდ უნდა იმუშაო ქანცაწვევტამდე და თითქმის როგორც სექტანტმა მიიღო და მას-რულო ორგანიზაციის შინაგანი წესები. თითქოს ლიბერტარული შფერილობის რევოლუცია, მაგრამ აბა გაბედეთ ოფიციალური სიტყვიდან გადახვევა ან არასწორად ფუნქციონირების მხილება, იქვე გააგადებენ. როგორც ჩანს ასე მოხდა Amazon-ში, მაგალითად. ახალი ცივი ომისკენ ფირმა, კომპანია, ორგანიზა-

ბაბუ



მოფსმა - 20 თ.
ვარესი - 30 თ.

ვარესსა და ვარესს შორის

„მოფსმა – 20 თეთრი, ვარესი – 30 თეთრი“, – ასეთი ტარიფი იყო გამოკრული ერთ-ერთი საზოგადოებრივი საპირფარეოს კარებთან, რომელიც თავისი ორიგინალურობის წყალობით სოციალურ ქსელებშიც მოხვდა.

ეს წარწერა მახსენდება რატომღაც საქართველოს პრეზიდენტობის მსურველთა გრძელ სიას რომ ვათვალიერებ.

ვარესადაა საქმე და, ალბათ, იმიტომ.

ადრე რა გვიჭირდა – ცუდსა და უარესს შორის არჩევანის გაკეთების საშუალება მაინც გვქონდა, ახლა ამ ვარესებიდან რომელია ნაკლებად ვარესი, ამაზე უნდა ვიჭვლიტო ტვინი.



საპრეზიდენტო ტუალეტი

არჩევანი ვარესსა და ვარესს შორის, ჩვენ ისედაც გაუარესებულ სიტუაციას კიდევ უფრო გააუარესებს, ალბათ და ხელთ შეგვრჩება მდგომარეობა, 30-თეთრიანი ვარიანტით...

„მინდა ვიყო კენტი ერთი, ბავშვებისთვის პრეზიდენტი“, – ასეთია ბაბუს დევიზი, რომელიც საქართველოს პრეზიდენტობაზე აპირებს კენჭისყრას.

ბაბუ, იგივე ნიკოლოზ გორგიჯანიძე, ცოტა ასაკოვანი კაცია, მაგრამ მაინც შესანიშნავად გამოიყურება, როგორც იტყვიან, კარგ ფორმაშია და, რაც მთავარია, ოპტიმისტურად არის განწყობილი.

ბაბუს ძალიან უყვარს ბავშვები, თუმცა დიდებულ არანაკლებ უყვარს – დიდებს თავის ლექსებს ურიგებს, ბავშვებს – კანფეტებს.

ბაბუს მტკიცედ სჯერა, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვებს – პროგრამა აქვს ისეთი, ვერ წარმოუდგენია, რომ ქართველებმა ხმა არ მისცენ.

– მე რომ პრეზიდენტი გავხდები, პენსიონერებს 300 დოლარს დავუნიშნავ პენსიად, დიასახლისებს 200 დოლარს მივცემ ყოველთვიურად, უსაქმურებს კი 100 დოლარს, – ამბობს ბაბუ.

– კი, მაგრამ, ამ უსაქმურებს რატომ აძლევთ 100 დოლარს? – უკმაყოფილო ხმით კითხულობს ჟურნალისტი.

– მერე რა, რომ უსაქმურები არიან? სიგარეტი ხომ უნდათ, რაღაც ხომ უნდათ? ქურდობას ხომ არ დავაწყებინებთ, კაცო, უნდა დავეხმაროთ, – მტკიცედ დგას თავის პოზიციასზე ბაბუ.

ჟურნალისტი, ახალგაზრდა, სიმპათიური ყმაწვილი, რომელიც იმ ასაკშია, როცა პგონიათ, რომ სულ ახალგაზრდები და სულ ლამაზები იქნებიან, ცხადია, ირონიულად არის განწყობილი ბაბუს თამაში იდეების მიმართ და სახეზე ეტყობა, რომ ერთი სული აქვს, როდის გაიცინებს გულიანად, თუმცა თავისი

განწყობის დამალვას ოსტატურად ახერხებს და ბაბუს „დაკითხვას“ აგრძელებს.

ჟურნალისტის მიზანი ერთია: მაყურებელს აჩვენოს, რა სისულელეებს ამბობს ეს ბერი-კაცი.

ჟურნალისტმა იცის მაყურებლის განწყობა, იცის, რომ მაყურებელსაც სისულელე ჰგონია ეს ყველაფერი და „ღადაობს“.



არადა, ისეთს რას ამბობს ეს კეთილი ადამიანი, საღადაოდ და სასაცილოდ რომ გვეჩვენებოდეს?

უამრავ ქვეყანაში პენსია სამასი დოლარი კი არა გაცილებით მეტი აქვთ დიასახლისებს, უმუშევრებს (უსაქმურებს), აგრეთვე, სხვა სოციალური პრობლემების მქონე ადამიანებს სახელმწიფო სერიოზული თანხებით ეხმარება და ა. შ.

აბა, რა უთქვამს ბაბუს სასაცილო და სამასხარაო?

არაფერი!

ასე რო, მიაწევი, ბაბუ – ბაბუები, ბებიები, ბებიები და ბავშვები შენთან არიან, დანარჩენები კიდევ, ამ ყარტაყურტა პოლიტიკოსებიდან, ვისაც უნდათ, იმას მიეყიდონ 20–30 ლარად.

ორმაგი ბედნიერება

ამასწინათ მარიხუნა გავსინჯე – ჩვენი ეზოს „პლანაქეშები“ შემომიჩინდნენ და რამდენიმე ნაფაზი დავარტყი.

სახლში ასულმა ტელევიზორი ჩავრთე და, ჰოი, საოცრება – ტელევიზორი ყველაფერს ორად აჩვენებს – ორი სააკაშვილი, ორი გვარამია, ორი კვესიტაძე, ორი ჟიჟილაშვილი, ორი ჯაფარიძე, ორი ოთო კახიძე.

– რა დეამართა, ქალო, ამ ტელევიზორს, რა არის, ყველაფერს ორად რომ აჩვენებს? – გავძახე ცოლს.

ცოლი შემოვიდა – ისიც ორია, ორივე ერთმანეთის ასლი.

– ეს ორი ერთნაირი ცოლი როდის მყავდა-მეთქი, – გადავირიე კინალამ, მაგრამ ამ ორმაგი ბედნიერების ბოლომდე გაშიფვრა ვერ მოვასწარი – სიდედრმა შემოიხედა – ისიც ორია!

– რა ხდება, გამაგებინეთ-მეთქი, ვიყვირე და ჩემს ყვირილზე ექვსი ბავშვი შემოვარდა ოთახში.

არადა, მახსოვს, სამი მყავდა...

– სამს ძლივს ვარჩენდი და ახლა ექვსი როგორ ვარჩინო... ამას დამატებული ორი ცოლი, ორი სიდედრი, ტელევიზორში კიდევ ორი გუგული მადრამე, ორი ნათელაშვილი, ორი ინგა გრიგოლია, ორი ნანუკა ჟორჟოლიანი, ორი გრიგოლ ვაშაძე – ამდენს როგორ გავუძლო მე ერთმა? – გავიფიქრე და ტირილი ამივარდა.

ორი ცოლი მაწყნარებს, ორი სიდედრი მამშვიდებს, ექვსი ბავშვი დამტრიალებს თავზე, მაგრამ ვერ ვჩერდები – ვტირივარ და ვტირივარ.

ცოტა ხნის შემდეგ, როგორც იქნა, გონს მოვედი – სამი ბავშვი, ერთი ცოლი, ერთი სიდედრი... სააკაშვილიც ერთი, ბოკერიაც ერთი, მელიაც ერთი, ბაქრაძეც ერთი...

იცით, როგორ მომეშვა გულს და უცებ როგორ ბედნიერად ვიგრძენი თავი?

მართლაც რა პატარა ჰყოფნის ადამიანს ბედნიერებისთვის, არა?!



რესტორანი „ივერონი – ხინკლის სახლი“

რუსთაველის გამზირზე მდებარე რესტორანს „ივერონი – ხინკლის სახლი“. უკვე ორი წელიწადია დარგის ლიდერის წოდებით აჯილდოებენ. მძლავრი კონკურენციის პირობებში და კულინარიის ისეთი ტრადიციების მქონე ქვეყანაში, როგორც საქართველოა, ეს ადვილი არ უნდა იყოს. მაგრამ ამას ახერხებს „ივერონი – ხინკლის სახლი“ მისი ხელმძღვანელის ქალბატონი ნინო თემდორაშვილის თაოსნობით.

რესტორანი დახვეწილი დიზაინით გაფორმებული ინტერიერით, მომსახურების მაღალი დონით, პროფესიონალი მუსიკოსებით ფოველ დღე დღესასწაულს სთავაზობს სტუმრებს.

მიბრძანდით რესტორან „ივერონი – ხინკლის სახლი“. იქ ხელსაყრელ ფასად უგემრიელეს კერძებს მიირთმევთ, შესანიშნავად მოგემსახურებიან და დაუვიწყარ დროსაც გაატარებთ.

რემსტორანი „ივერონი – ხინკლის სახლი“ ვარდების მოედანზე, სასტუმრო „რედისონის“ წინ.



ნაგაალი „სალხინო“ ქართული ფლორის საოსრება

პრეპარატს ახასიათებს ანტიბაქტერიული, ანტისეპტიკური, სპაზმოლიზური, ტკივილგამაყუჩებელი მოქმედება. ხსნის შეშუპებებს, არეგულირებს სხეულის ტემპერატურას.

კომპლექსური თერაპიის დროს გამოიყენება მასტიტების, მასტოპათიების, ჭრილობების, კანისა და ლორწოვანის ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების, პირის ღრუს, სასუნთქი და საშარდე სისტემის ჩირქოვანი ანთებითი დაავადებების: ბრონქიტის,

რინიტის, გინგივიტის, პაროდონტიტის, პიელონეფრიტის, კოლპიტიტის, ენდომეტრიოზის, პროსტატიტის, ცისტიტის, შარდის შეუკავებლობის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ბუასილის მკურნალობისა და პროფილაქტიკისთვის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედების მოსაწესრიგებლად, რბილი ქსოვილების ჩირქოვანი ანთებითი პროცესების სამკურნალოდ.

ტელ: 577 49-94-84



„საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი

მთავარისა კვილიშვილი.
ტელ.: 2 79 63 91; 0 790 60 64 69;
5 93 78 64 69



შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით.

2. სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ენების მიყენების შემთხვევებში დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისთვისაც.

მუხლი 414. ზიანის ოდენობის განსაზღვრა

ზიანის ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მისაღები ის ინტერესი, რომელიც კრედიტორს ჰქონდა ვალდებულების ჯეროვანი შესრულების მიმართ. ზიანის ოდენობის დასადგენად გათვალისწინებულ უნდა იქნეს ხელშეკრულების შესრულების დრო და ადგილი.

მუხლი 415. დაზარალებულის ბრალი ზიანის დადგომაში

1. თუ ზიანის წარმოშობას ხელი შეუწყო დაზარალებულის მოქმედებამაც, მაშინ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება და ამ ანაზღაურების მოცულობა დამოკიდებულია იმაზე, თუ უფრო მეტად რომელი მხარის ბრალით არის ზიანი გამოწვეული.

2. ეს წესი გამოიყენება მაშინაც, როცა დაზარალებულის ბრალი გამოიხატება მის უმოქმედობაში - თავიდან აცილებინა ან შეეცდინებინა ზიანი.

* * *
- წარმოშობს თუ არა სამართლებრივ შედეგებს ჯვრისწერა?

- ეს შეკითხვა ხშირად შემოდის რედაქციაში. ჭორებისა და გაყვრის საუბრების ფონზე, მოქალაქეები ფიქრობენ, რომ ჯვრისწერა, სამოქალაქო ქორწინების მსგავსად, არის სამართლებრივი შედეგების საფუძველი. ეს მცდარი აზრია. ჯვრისწერა არ წარმოშობს ნსამართლებრივ შედეგებს. ამიტომ ვეკლას ვურჩევ, ჯვრისწერასთან ერთად, ქორწინება გააფორმონ სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში. დაგიკონკრეტებთ:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1151-ე მუხლი: ქორწინების რეგისტრაციის მნიშვნელობა

მეუღლეთა უფლება-მოვალეობებს წარმოშობს მხოლოდ სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში რეგისტრირებული ქორწინება.

* * *
- ვაფორმებთ საპროცესო შეთანხმებას პროკურატურასთან. შეიძლება თუ არა, სასამართლომ დაამძიმოს ან შეამსუბუქოს ჩვენი პირობები სასჯელის ნაწილში?

- არა.
დაგიკონკრეტებთ: საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 213-ე მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად, „სასამართლო უფლებამოსილია საპროცესო შეთანხმებაში ცვლილებები შეიტანოს მხოლოდ მხარეთა თანხმობის შემთხვევაში“.

საერთო გაზეთი მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილაძე

გაზეთის გამოცემა შევიწყობით
ზაგ „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში.
აგლადის 39. E-mail: asavaliprint@yahoo.com

